ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 7 მარტი, 2018 | №55 (7600) | ფასი: 50 თეთრი

რუსთავი 2-ში თანამშრომლებს პრემიების უკან დაბრუნება მოსთხოვეს

გვ.2

6 მარტიდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ქართული დეტექტივი ტომი მე-15

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ბორჯომში ისევ დიდ ცემა-ტყეპას ელოდებიან

„ოცნებას“ საქართველოში ერთადერთი ოპოზიციური საკრებულოს დაშლა სურს“

გვ.2

„ტატუნაშვილის ცხედარი ოჯახს დღეს ან ხვალ დაუბრუნდება“

გვ.3

რომან გოცირიძე: „საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიცია თუ ერთ კანდიდატს წამოაყენებს, გამარჯვების შანსი აქვს“

გვ.3

სააკაშვილის ხელისუფლების დროს იმდენი პატიმარი იყო, რამდენიც კრიმინალურ ვითარებას შეესაბამებოდა

რუსი ბიზნესმენი აფხაზეთში წართმეული ქარხნის დაბრუნებას მოითხოვს

გვ.5

რა ხდება მოსკოვში ოკუპირებული აფხაზეთის „საელჩოსთან“

სამართალი

გვ.7

ინციდენტი 157-ე საჯარო სკოლაში



რუსთავში გაზით 7 ადამიანი მოიწამლა

საგადასახადო სამართალდარღვევის 654 ფაქტი გამოვლინდა



საგამოძიებო სამსახურმა არალეგალურად მოქმედი აზარტული თამაშების კლუბი გამოავლინა

ეკონომიკა

გვ.6

როგორ მიიყვანეს MILKO FOOD გაკოტრებამდე

ჯეოსელი | მაგთი MAGTI

მაგთიკომი და ჯეოსელი, სავარაუდოდ, დემპინგურ ფასებს იყენებდნენ

2017 წელს ბანკებს საჩივრით 3.665 მოქალაქემ მიმართა

რისი ყიდვა შეიძლება ქართულ საფონდო ბირჟაზე

ISSN 1987-9385

5 რატომ დანიშნა ალიევმა საპრეზიდენტო არჩევნები ექვსი თვით ადრე

4 გვარის შეცვლას აპირებთ? ახალი კანონპროექტით მოგიწევთ დაასაბუთოთ, რატომ აკეთებთ ამას

5 რატომ ვერ გასცემენ ბანკები სასოფლო-სამეურნეო სესხებს? ფერმერებს ფინანსების მოძიება უჭირთ

6 „შუამთამ“ ამერიკის ბაზარზე ექსპორტი შეაჩერა

ბორჯომში ისევ დიდ ცემა-ტყეპას ელოდებიან

„ოცნებას“ საქართველოში ერთადერთი ოპოზიციური საკრებულოს დაშლა სურს“

შორენა მარსაგიშვილი

ზეგ, 9 მარტს, ბოჰჯომელმა მეოცნებეებმა შესაძლოა ჯიდევ ეჰთხეი გააოცონ მსოფლიო. ჯვიჰის ბოღოსთვის ჩანიშნეი საჯჰებეღოს სხდომაზე ისინი ჯიდევ ეჰთხეი შეეცდებიან მეჰიის თანამშჰომღებისთვის ხეღფასების გაზჰდას. ამ იმედით ბოჰჯომის მეჰმა და მეჰიის 90-მა თანამშჰომეღმა გაფიცვაც ჯი შეწყვიტა.

გასულ კვირას გამართულ საკრებულოს სხდომაზე უმრავლესობაში მყოფმა ოპოზიციამ ხელისუფლებას ხელფასების გაზრდაზე უარი უთხრა. ამის საპასუხოდ ოპოზიციის ნაწილი მმართველმა ძალამ შენობაში გამოკეტა, მათ საშველად მისულ პარლამენტის წევრებს კი მუშტები დაუშინა.

ამ მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, ოპოზიციური პარტიები 9 მარტის სხდომას უფრო მობილიზებულები შეხვდებიან. ჯამაგირის ბუნტის შესახებ ოპოზიცია საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსსაც ესაუბრა.

საკრებულოს თავმჯდომარის ზაზა ჩაჩანიძის განცხადებით, ხელისუფლებას ძალადობრივი მეთოდებით სურს ქვეყანაში ერთადერთი ოპოზიციური საკრებულოს დაშლა.

მისივე თქმით, ის მზად არის, ბორჯომის მერთან კონსულტაციები გამართოს. თუმცა ეს კონსულტაციები გონივრულობის ფარგლებში უნდა გაიმართოს.

ბორჯომის საკრებულოს ლეიბორისტული პარტიის წევრი გიორგი გიუაშვილი ცემა-ტყეპის მორიგ სერიას არ გამორიცხავს. მისი თქმით, „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სასურველ მიზანს მიაღწიოს.

გიორგი გიუაშვილი: „ელჩები გაოგნდნენ, როცა გაიგეს, რომ მერია ხელფასების მომატების გამო გაიფიცა“

რა სქემით მოქმედებს „ქართული ოცნება“, რას ფიქრობენ ბორჯომელები, რა თქვეს დიპლომატებმა ჯამაგირის ბუნტზე? – ამის შესახებ ლეიბორისტი გიორგი გიუაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

გიორგი გიუაშვილი:

– საკრებულოს მორიგი სხდომა 9 მარტს არის ჩანიშნული. „ქართული ოცნება“ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ სასურველ მიზანს მიაღწიოს. იმდენად უნდათ ხელფასების გაზრდა, რომ მზად არიან, ყველაფერზე წავიდნენ.

– ყველაფერზე წასვლაში რას გულისხმობთ?

– ყველაფერს იკადრებენ. ამაში ხალხი წინა კვირასაც დარწმუნდა. ხელფასები რომ გაეზარდათ, დეპუტატების მძევლად აყვანასაც კი არ მოერიდნენ. ახლაც ყველაფერს იკადრებენ. რაც იყვნენ, ისევ იმად დარჩნენ.

– წინა კვირას ბორჯომის საკრებულოში განვითარებულ მოვლენებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თქვენი აზრით, კიდევ გაბედავს ხელისუფლება ძალადობას?

– რატომ არ გაბედავენ. ახლა ცდილობენ, ეს პრობლემა სხდომამდე მოაგვარონ. ამ მიმართულებით სერიოზული სამუშაოები მიდის.

– რა სამუშაოები?

– საკრებულოს ოპოზიციურ წევრებზე ზეწოლას ახდენენ. ამ ფორმით სურთ მათი გადაბირება.

– გადაიბირეს ვინმე?

– ვერ გეტყვით. მცდელობა დიდია.

– გაქვთ იმედი, რომ ოპოზიცია ძველ პოზიციაზე დარჩება?

– მინდა, რომ ასე მოხდეს, მაგრამ გმირობას ყველას ვერ მოსთხოვ.

– ეს პასუხი რას ნიშნავს, მოხდა გადაბირება?

– მინდა მჯეროდეს, რომ ასე არ არის, მაგრამ ყველაფერს უნდა ველოდოთ. „ოცნება“ ისე გამწარებით ითხოვს ხელფასების გაზრდას, უკან არაფერზე დაიხევს. ყველაფერი 9 მარტს გაირკვევა.

– 5 მარტს ბორჯომის საკრებულოს ოპოზიცია საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს შეხვდით. შეგიძლიათ გვითხრათ, რაზე იყო საუბარი?

– საუბარი შეეხებოდა იმ სამარცხვინო ფაქტს, რაც „ქართულმა ოცნებამ“ ჩაიდინა. ელჩებს დეტალურად მოვახსენეთ, თუ რა მოხდა და რა ხდება ბორჯომის საკრებულოში.

– რა რეაქცია ჰქონდათ თქვენს ნაამბობზე?

– გაოგნდნენ, როცა გაიგეს, რომ მერი ხელფასის გამო გაიფიცა. ელჩებმა ამაზე იცინეს კიდევაც. მოდი და ნუ გაიცინებ – ასეთი რამეები ნორმალურ ქვეყანაში არ ხდება.

– თქვენი და დიპლომატების შეხვედრის შემდეგ, მერმა და მერიის თანამშრომლებმა გაფიცვის შეწყვეტის შესახებ გააკეთეს განცხადება.

– გაფიცვა შეწყვიტეს, შეიძლება დიპლომატების შერცხვათ, მაგრამ მე უფრო მგონია, რომ რაღაც აქვთ ჩაფიქრებული.

– რა უნდა ჰქონდეთ ჩაფიქრებული?

– გაფიცვის შეწყვეტის შემდეგ მერმა განაცხადა, რომ მერიის საშტატო ნუსხას საკრებულოს შეცვლილი სახით წარუდგენენ. ამბობს, რომ მისი თანამდებობრივი სარგო უცვლელი დარჩება და მოითხოვენ, ხელფასები მერის მოადგილეებს და სამსახურების უფროსებს იმავე ოდენობით მოუმატონ, როგორც აქამდე ითხოვდნენ.

– მკითხველისთვის რომ უფრო გასაგები იყოს, აქამდე რას ითხოვდა მერია?

– აქამდე ითხოვდნენ, რომ საკრებულოს მუნიციპალიტეტს მერის ხელფასი 2.650 ლარიდან 3.450 ლარამდე გაეზარდა, მერის მოადგილეების ხელფასი 2.000 ლარიდან 2.400 ლარამდე, ხოლო სამსახურების უფროსების – 1.550 ლარიდან 2.000 ლარამდე.

ჩვენ საეჭვოდ გვეჩვენება შესწორებები და არც ამას დავუჭერთ მხარს. „ოცნება“ ყველაფერზე მიდის, რომ გაზრდილი ხელფასები მიიღოს.

– ხელფასების გაზრდაზე რა მოტივით ეუბნებით უარს?

– მერიის ხელმძღვანელი პირების ხელფასების გაზრდა ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების ფონზე, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

მათ საკრებულომ ერთხელ უკვე შესთავაზა ხელფასების გაზრდა, მერის ხელფასი 200 ლარით უნდა გაზრდილიყო, სამსახურების უფროსების კი – 150 ლარით, რაზეც მერიამ უარი თქვა.

– მერიის თანამშრომელები ამბობენ, რომ იანვარ-თებერვალში საშტატო ნუსხის დაუმტკიცებლობის გამო, 2 თვის ხელფასი ვერ აიღეს.

– ნამდვილად ვერ აიღეს, მაგრამ ეს საკუთარ გაუმაძღარ მადას უნდა დააბრალონ. ჩემი აზრით, ხელფასების აუღებლობაზე კი არ უნდა ჩიოდნენ, არამედ მადლობას უნდა ამბობდნენ, ციხეში რომ არ ლპებიან.

ამ დღეებში აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა დასკვნა, სადაც წერია, როგორ ფლანგავდა ბორჯომის მერია ფულს. მარტო ეს დასკვნაა საკმარისი იმისთვის, რომ ისინი ციხეში ჩააყუდო და 5 წუთიც არ გამოახედო გარეთ. ესენი კი ისეთი უსირცხვილოები არიან, აქციებს მართავენ – ხელფასები გაგვიზარდეთო.

– იმ აქციაზე მოსახლეობაც იყო მისული. ხალხიც ითხოვდა მათთვის ხელფასის გაზრდას.

– არ დაიჯეროთ. ეგენი იყვნენ მაგათი ოჯახების წევრები. ხალხი ჩვენს მხარესაა. ერთი წუთით დავფიქრდეთ, როგორ დაუჭერს ხალხი მერიის თანამშრომლებისთვის ხელფასის გაზრდას მხარს, როცა მათმა დიდმა ნაწილმა საერთოდ არ იცის, რა არის ხელფასი – სამსახური არა აქვთ და საიდან ეცოდინებათ.

ჩვენ ბოლომდე ვაპირებთ ბრძოლას და იმედი გვაქვს, ხელისუფლება თავისას ვერ გაიტანს. მათ, ხელფასების გაზრდის გარდა, საქართველოში ერთადერთი ოპოზიციური საკრებულოს დაშლა სურთ.

რუსთავი 2-ში თანამშრომლებს პრემიების უკან დაბრუნება მოსთხოვეს

ტელეკომპანია რუსთავი 2-ის თანამშრომლები არხის მენეჯმენტს დაუპირისპირდნენ. დაპირისპირების მიზეზი რუსთავი 2-ში ფინანსურ კრიზისს უკავშირდება. არხზე ხელფასების გაცემასთან დაკავშირებით დიდი ხანია პრობლემები არსებობს.

რუსთავი 2-ის თანამშრომლები ბოლო თვეების განმავლობაში ფინანსური კრიზისის გამო განახევრებულ ხელფასებს დაგვიანებით იღებდნენ, ჟურნალისტები და ოპერატორები დიდი ხნის განმავლობაში ხელფასების სრულად გაცემას მოითხოვდნენ, ამავე მიზეზით ხშირად იყო დაპირისპირებები ჟურნალისტებსა და მენეჯმენტს შორის.

რუსთავი 2-ის მენეჯმენტმა სიტუაციის განმუხტვის მიზნით ტელეკომპანიის თანამშრომლებს თებერვლის ხელფასები პრემიებთან ერთად ჩაურიცხა, თუმცა გუშინ თანამშრომლებს ჩარიცხული პრემიების უკან დაბრუნება მოსთხოვეს. მენეჯმენტის მიერ გაცემული პრემიების უკან დაბრუნების მოთხოვნამ გააღიზიანა ტელეკომპანიის თანამშრომლები, რამაც რუსთავი 2-ში დაპირისპირება გამოიწვია.

ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია დაპირისპირებულ მხარეებს ცალ-ცალკე ხვდება და კონფლიქტის განმუხტვას ცდილობს.

ინფორმაცია რუსთავი 2-ში მიმდინარე დაპირისპირების შესახებ „მარშალპრესს“ ტელეკომპანიის ჟურნალისტმა მიაწოდა.

„საქართველომ არ უნდა დაუშვას, რომ პანკისის ხეობა ისეთივე უმართავი გახდეს, როგორიც 20 წლის წინ იყო“

საქართველომ არ უნდა დაუშვას, რომ პანკისის ხეობა ისეთივე უმართავი გახდეს, როგორიც 20 წლის წინ იყო.

ამის შესახებ „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციასთან ინტერვიუში საქართველოში აშშ-ის ყოფილმა ელჩმა კენეტ იალოვიცმა განაცხადა. იალოვიცი ამერიკის ელჩი საქართველოში ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში იყო.

მან ინტერვიუში 1999 წელს, რუსეთის მიერ პანკისის ხეობაში შემოჭრის მზაობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამერიკის მიერ წამოწყებულმა ოთხპუნქტიანმა გეგმამ, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდა, საქართველო იმ პერიოდში რუსეთის თავდასხმისგან იხსნა. ყოფილი ელჩი მიიჩნევს, რომ რუსეთს საქართველოსთან პანკისის თემის წამოწევა და ამით ურთიერთობის კიდევ უფრო დაძაბვა, ადვილად შეუძლია.

– შევარდნაძის მთავრობას აქტიურად მოვუწოდებდით პანკისზე კონტროლი დაემყარებინა – სიტუაციას ამის გარდა, სხვა ვერაფერი შეცვლიდა. დღეს ისმის შეშფოთება ტერორიზმთან დაკავშირებით. დღეს საქართველოს მოვუწოდებ ფრთხილად დაეკვირდეს იმ ადამიანებს, რომლებიც ახლო აღმოსავლეთიდან ბრუნდებიან უკან. ისინი შეიძლება ჩეჩნები და შეიძლება ქართველები იყვნენ.

საქართველომ ყველანაირად უნდა სცადოს ამ ადამიანების ქვეყანაში დაბრუნების აღკვეთა. რუსეთს იგივე პრობლემა აქვს ჩრდილოეთ კავკასიასთან დაკავშირებით და ამ სფეროში, ვფიქრობ საქართველოს და რუსეთის ინტერესები იკვეთება. არ ვიცი ეს რამდენადაა შესაძლებელი, მაგრამ ეს აზრი მომსვლია.

საქართველომ არ უნდა დაუშვას, რომ პანკისის ხეობა ისეთივე უმართავი გახდეს, როგორც ეს 20 წლის წინ იყო. ამ სახის კონტროლის დაწესება კი პოლიციის ძალის გამოყენებითაა შესაძლებელი.

მე არ ვიცი რამდენად აქტიურადაა პოლიცია მოსახლეობასთან ჩართული პანკისის ხეობაში დღეს. მაგრამ ვიცი, რომ საკმარისი რაოდენობის პოლიციის ოფიცრების ყოლა მოქალაქეების უსაფრთხოების გარანტი იქნება და „ცუდი ადამიანების“ რეგიონში დაბრუნებას ხელს შეუშლის.

პოლიციასთან ერთად, ცხადია, აქტიურად უნდა მუშაობდეს სადაზვერვო სამსახურებიც, – განაცხადა კენეტ იალოვიცმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

პატრიარქი კირილი: „ტატუნაშვილის ცხედარი ოჯახს დღეს ან ხვალ დაუბრუნდება“

შორენა მარსაგიშვილი

არჩილ ტატუნაშვილის ცხედარი მის ოჯახს შესაძლოა დღეს ან ხვალ დაუბრუნდეს. ამაზე რუსეთის პატრიარქი კირილი საქართველოს პატრიარქ ილია II-ისთვის გამოგზავნილ წერილში საუბრობს.

რუსეთის ეკლესიის საჭეთმპყრობელმა ტრადიციას არც ამ წერილში უღალატა და ილია II სრული ტიტულით არ მოიხსენია.

ჩვენი პატრიარქის სრული ტიტული ასეთია – უწმიდესი და უნეტარესი ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა.

კირილმა წერილში რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის ხელისუფლება ადგილობრივ ხელისუფლებად მოიხსენია, რეგიონს კი სამხრეთ ოსეთი უწოდა.

აღსანიშნავია, რომ ამ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს კირილი ხშირად ხვდება. პრეზიდენტად წოდებულ ანატოლი ბიბილოვსაც რამდენჯერმე შეხვდა და მისთვის არც ლოცვა-კურთხევა მოუკლია.

ჩვენს პატრიარქს კირილი ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის:

– უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს!

გულითადად მოგესალმებით და გისურვებთ ჯანმრთელობასა და ღვთის შეწევნას თქვენს საპატრიარქო მაღალ მსახურებაში.

პასუხად 2 მარტით დათარიღებული თქვენი წერილისა, რომლითაც მოგვმართეთ თხოვნით, დახმარება გაგვეწია სამხრეთ ოსეთში გარდაცვლილი არჩილ ტატუნაშვილის ქართული მხარისთვის გადმოცემაში, გაცნობებთ შემდეგს: თქვენი წერილის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ იქნა მიღებული მოცემული სიტუაციისთვის ყველა შესაძლო ზომა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ აღგვითქვა, რომ, როგორც კი მიიღებენ გამოძიების ფარგლებში ჩატარებული კრიმინალური ექსპერტიზის მონაცემებს, ცხედარს უმოკლეს ვადაში დააბრუნებენ. ა. ტატუნაშვილის ქართული მხარისთვის გადმოცემა იგეგმება წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თანადგომით.

ვუსურვებ თქვენს უწმინდესობასა და უნეტარესობას, სულიერი და ფიზიკური ძალის სიმტკიცით განვლოთ წმინდა ორმოცეულის (დიდმარხვის) მაცხოვნებელი გზა, უცვლელად ვრჩები თქვენდამი ქრისტეს მიერი ძმური სიყვარულით.

დამატებით გვინდა გაცნობოთ, რომ, სავარაუდოდ, არჩილ ტატუნაშვილის ცხედარს დღეს ან ხვალ დაუბრუნებენ ოჯახს.

პატრიარქ კირილის მიერ ადგილობრივ ხელისუფლებად მოხსენიებული რეჟიმი, როგორც ჩანს, ტატუნაშვილის ცხედრის დაბრუნებას არ ჩქარობს. მეტიც, მათი ნება რომ იყოს, საერთოდ არ დაუბრუნებდნენ ცხედარს.

მათ ამ სურვილზე მეტყველებს გუშინ, 6 მარტს, ცხინვალში გამართული აქციაც. აქციაში ძირითადად ახალგაზრდები მონაწილეობდნენ და აცხადებდნენ, რომ ტატუნაშვილის ცხედარი ოჯახს მანამდე არ უნდა გადაეცეს, სანამ არ მოხდება უგზო-უკვლოდ დაკარგული ოსების მოძიება.

სხვათა შორის, ამ მიმართულებით საქართველოს მოქმედმა ხელისუფლებამ ცხინვალის რეჟიმს კოჭი ერთხელ უკვე გაუგორა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ ციხიდან გაათავისუფლა ცნობილი ბოევიკი მარეკ დუდაევი, რომელსაც ქართულმა მართლმსაჯულებამ 27 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

„ოცნება“ მაშინ ირწმუნებოდა, რომ ამას ცხინვალის მხრიდან საპასუხო ნაბიჯები მოჰყვებოდა და გაადვილდებოდა ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული ქართველების მოძიება.

უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიება არც არავის უცდია, საპასუხო ნაბიჯი კი ტატუნაშვილის მკვლელობა იყო.

* * *

არჩილ ტატუნაშვილთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტი რეზოლუციის მიღებას გეგმავს. ჩვენი კანონმდებლები ამ საკითხზეც კი არ არიან ერთიანები.

პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ლომია მიიჩნევს, რომ რეზოლუცია თუ პოზიტიურ შედეგს არ გამოიღებს, მის მიღებას აზრი არა აქვს.

პარლამენტში წარმოდგენილი სხვა პარტიები რეზოლუციის მიღებას მხარს უჭერენ, თუმცა ვერც მათ გამონახეს საერთო ენა. რეზოლუციასთან დაკავშირებით პარლამენტის სპიკერი დახურულ კარს მიღმა შეხვდა „ევროპული საქართველოს“ ლიდერებს.

კონსულტაციები კიდევ გაგრძელდება. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე ამბობს, რომ კონსულტაციებზე საერთო მიზანი გამოიკვეთა, რომ პარლამენტმა მიიღოს ერთი რეზოლუცია.

თალაკვაძის განცხადებით, არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალების საკითხზე ერთიანი რეზოლუციის შესამუშავებლად საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას შორის კონსულტაციების დასრულებას მცირე დრო დასჭირდება.

– კონსულტაციების დასრულებას მცირე დრო დასჭირდება, ვინაიდან ჩვენ უკვე კონკრეტულ დეტალებში შევედით. თუ როგორ მოხდება რეზოლუციების პროექტში ასახული ინსტრუმენტების გამოყენება, ამასთან დაკავშირებით გვქონდა მსჯელობა. რაც შეეხება ჩვენს პოზიციას კონკრეტულად მექანიზმებზე, რომელსაც უმცირესობა გვთავაზობს, წინასწარ ამაზე პოზიციის დაფიქსირებისგან, შევთანხმდით, ყველანი თავს შევიკავებთ. კონსულტაციებში საერთო მიზანი გამოიკვეთა, რომ პარლამენტმა მიიღოს ერთი რეზოლუცია. ჩვენ არ გვინდა, წინასწარი შეფასებებითა და განცხადებებით მიმდინარე კონსულტაციების პროცესი დავაზიანოთ. როგორც კი დასრულდება კონსულტაციები, პირველ რიგში კომიტეტის ფორმატში ვუყრით კენჭს რეზოლუციას და შემდეგ უახლოეს სესიაზე გავიტანთ, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

რომან გოცირიძე: „საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიცია თუ ერთ კანდიდატს წამოაყენებს, გამარჯვების შანსი აქვს“

სააკაშვილის ხელისუფლების დროს იმდენი პატიმარი იყო, რამდენიც კრიმინალურ ვითარებას შეესაბამებოდა

ნონა ცაბაძე

ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის პრობლემებზე „ახალ თაობას" ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე ესაუბრება.

– ბატონო რომან, გვესმის შეფასებები, რომ საშინაო თუ საგარეო ფლანგზე ყველგან კრიზისია. აქეთ საოკუპაციო რეჟიმი, იქით ევროკავშირის მუქარანარევი განცხადებები. ოპოზიცია კი ხელისუფლებას ადანაშაულებს. ევროპარლამენტში იყავით საპარლამენტო დელეგაცია. რა განწყობებია იქ?

– სადაც არ უნდა გაიხედო, ყველგან პრობლემაა, გინდ ეკონომიკური მდგომარეობა ავიღოთ, გინდ შიდა პოლიტიკური ვითარება. ვხედავთ, რუსეთის თავგასულობა სულ უფრო იზრდება და იზრდება. ვხედავთ, რომ ვიზალიბერალიზაციასაც დაემუქრა სერიოზული საფრთხე.

– ხელისუფლებამ ამ კუთხით დაიწყო რეგულაციების გამკაცრება და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

– ეს არავითარ შემთხვევაში არ გვაძლევს თვითდამშვიდების საშუალებას, რომ თითქოს რაღაც ნაბიჯების გადადგმას აპირებს საქართველოს ხელისუფლება. თუ ეს არ იქნება სერიოზული შედეგის მომტანი, მაშინ, სამწუხაროდ, მოვლენები ძალიან ცუდად განვითარდება.

– და რა იქნება ეს ცუდი შედეგი?

– როგორც იცით, საპარლამენტო დელეგაცია ვიმყოფებოდით ბრიუსელში, ევროპარლამენტში. ამ შეხვედრების დროს ძალიან სერიოზული გაფრთხილება იყო საქართველოს მთავრობისადმი.

– რასთან დაკავშირებით?

– იმასთან, რომ ჩვენ არ დავკარგოთ ის დიდი მონაპოვარი, რომელიც ქვეყანამ მიიღო. ამდენი საუკუნის შემდეგ ევროპამ პირველად გაგვიღო კარი და ჩვენ უკვე სერიოზულ საყვედურებს ვიღებთ. გერმანიის პოზიციაა ყველაზე მკვეთრი. ისინი ხაზს უსვამდნენ ამ საკითხს და ჩვენთვის მათი პოზიცია მეტად დამაფიქრებელია.

– ამ კუთხით ყველაზე მეტად გერმანია აქტიურობს. რატომ?

– იმიტომ, რომ იქ ყველაზე მეტია ამ რეჟიმის დამრღვევთა რაოდენობა. ძალიან ბევრმა გადააცილა სამთვიან ვადას და ძალიან ბევრი მსურველი გაჩნდა თავშესაფრის მაძიებელთა სახით.

– გასულ თვეში 700-მა საქართველოს მოქალაქემ მიმართა გერმანიას თავშესაფრისთვის და ყველა მათგანს უარი ეთქვაო.

– დიახ, ასეა. ასევე ძალიან მოიმატა კრიმინალმა. თუმცა, კრიმინალი ყოველთვის იყო ევროპაში დიდი ოდენობით ქართველების მიერ ჩადენილი. ეს პირდაპირ დანაშაულია ამ ხელისუფლების, რომელმაც ციხიდან გამოუშვა 10 ათასი დამნაშავე. ამ ათი ათასიდან ნახევარი საქართველოში ქურდობს და მეორე ნახევარი – ევროპაში. ეს იყო სერიოზული შეცდომა. ეს ყველაფერი კი გამოწვეული იყო იმით, რომ დაეკნინებინათ ვარდების რევოლუციის ის უზარმაზარი შედეგები, რასაც ჰქვია ფაქტობრივად ქვეყანაში კრიმინალის განადგურება, ქურდული სამყაროს განადგურება და კორუფციის დამარცხება.

– ნახევარი საქართველო უდანაშაულოდ ჩასვა ციხეში სააკაშვილმაო...

– იმისთვის, რომ ჩრდილი მიეყენებინათ ამ პროცესისათვის, აიტაცეს თემა, რომ საქართველოში ბევრი ადამიანია ციხეში. შევარდნაძის დროს ციხეში იყო მხოლოდ 5 ათასი კაცი, იმიტომ რომ დანაშაულთან ბრძოლა საერთოდ არ ხდებოდა. მცირე რაოდენობის პატიმრები სულაც არ ნიშნავს ქვეყანაში დემოკრატიასა და სამართლიანობას! დღეს ორჯერ მეტი პატიმარია, ვიდრე შევარდნაძის დროს იყო და მაშინ რა გამოდის, შევარდნაძის ხელისუფლება უფრო დემოკრატიული და ჰუმანური იყო?!

– არაადეკვატურად დიდი იყო პატიმრების რაოდენობაო. ასე არ არის?

– სააკაშვილის ხელისუფლების დროს იმდენი პატიმარი იყო, რამდენიც შეესაბამებოდა კრიმინალურ ვითარებას და, რომ იტყვიან, დაუნდობელი ბრძოლა იყო კრიმინალის წინააღმდეგ. ბრძოლის საფუძველი კი არის კანონი. თუ კანონს დაარღვევ, უნდა დაისაჯო! დღეს ფაქტობრივად გაჩნდა დაუსჯელობის სინდრომი და ნელ-ნელა გვიბრუნდება ის მენტალიტეტი, რომელიც იყო შევარდნაძის პერიოდში, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ გაქვს გავლენა, პოლიტიკური ზურგი, ფული, ნაცნობობა და ასე შემდეგ, შეიძლება დანაშაულს აარიდო თავი. ამ ფონზე კი გვაქვს სრულიად დეგრადირებული სასამართლო სისტემა! როდესაც ქვეყანაში სასამართლო არ არსებობს, ყოველთვის უჩნდება დამნაშავეს იმის რწმენა, რომ თავი აარიდოს სასჯელს.

– სასამართლო ახსენეთ და სწორედ სააკაშვილის დროინდელი მოსამართლეების დანიშვნა ხდება უვადოდ და ამას ხელისუფლებაც აპროტესტებს საზოგადოებასთან ერთად. ოპოზიცია სასამართლოს დეგრადირებულს უწოდებს. რა ხდება ამ სისტემაში?

– ესეც ერთ-ერთი ლეგენდის ნაწილია, რომ თუკი იმ ხელისუფლების დროს სადმე მუშაობდი სასამართლო სისტემაში, თურმე აუცილებლად ხარ დამნაშავე, რაც ასე არ არის. თუმცა იმ ხელისუფლებაშიც მოსამართლეები, რომლებიც ასრულებდნენ პოლიტიკურ დავალებას, რა თქმა უნდა, იყვნენ ასეთები და, სამწუხაროდ, ეს ხალხი მთლიანად გადაიბარა ამ ხელისუფლებამ.

– ანუ ის მოსამართლეები, რომლებიც სააკაშვილის დაკვეთებს ასრულებდნენ, ახლა ოცნების დაკვეთებს ასრულებენ?

– დიახ, 6 წლის განმავლობაში ემსახურებიან ამ ხელისუფლებას, აკეთებინეს ბინძური საქმეები, მათ შორის თუნდაც რუსთავი 2-თან დაკავშირებით. გამოწურეს ლიმონივით, შეახოცეს ტალახი და ახლა თურმე აღმოჩნდა მთავრობა, პრემიერ-მინისტრი და დეპუტატები სამართლიანობის მსურველები, ახლა გაახსენდათ, რომ ეს ადამიანები არ იყვნენ ღირსნი, ეტარებინათ მოსამართლის მანტია, ანუ გამოიყენეს და ახლა ისე უნდათ დაადგონ, რომ ამაში ქულებიც დაიწერონ, პოლიტიკური სარგებლობა მიიღონ და ამით საზოგადოებას შეახსენონ, რომ თურმე ისინი იმდროინდელი მოსამართლეები არიან! იმდროინდელი მოსამართლეები კი არა, ესენი არიან ამდროინდელი, იმიტომ რომ 5-6 წელი ძალიან დიდი დროა იმისათვის, რომ ხელისუფლებას გაერკვია, ვინ არის ცუდი და ვინ – კარგი!

– დღეს განტევების ვაცს ეძებენ?

– ვაცის რა მოგახსენოთ, ვაცები კი არა, მგლები არიან ვაცების ქურქში!

– წინ არჩევნებია, გვესმის კულუარული ინფორმაციები კანდიდატებზე. ვის რა შანსები აქვს?

– რა თქმა უნდა, არჩევნებში გამარჯვებისთვის ყველაფერი გააკეთა მმართველმა გუნდმა – შეცვალა კონსტიტუცია, შეცვალა საარჩევნო კოდექსი, ისე დაკომპლექტდა კომისიები, რომ სერიოზული გავლენა აქვთ საარჩევნო პროცესზე.

აქვთ ძალიან დიდი ფული, ადმინისტრაციული რესურსი. ასე რომ, ყველაფერია მომზადებული იმისთვის, რათა საარჩევნო ვითარება არ იყოს დემოკრატიული, სამართლიანი და თანაბარ მდგომარეობაში არ იყვნენ კონკურენტები.

– ანუ ოპოზიციას შანსები არა აქვს, რომც გაერთიანდნენ?

– ასე არ არის. 6 წლის განმავლობაში იმდენად დამძიმდა ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, რომ ხალხმა რეალურად დაინახა ამ ხელისუფლების ხელში პროგრესის აბსოლუტური შეუძლებლობა, ამიტომ ოპოზიციას აქვს სერიოზული შანსი საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებისა. ეს შანსი გაჩნდება მაშინ, თუ ყველა გაერთიანდება ერთი ოპოზიციური კანდიდატის გარშემო. სულაც არ არის სავალდებულო, ეს იყოს თუნდაც ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი, მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობა ქვეყანაში ყველზე დიდი ოპოზიციური ძალაა. ჩვენ მზად ვართ, მხარი დავუჭიროთ იმ კანდიდატს, რომელსაც ექნება უკეთესი რეიტინგი და მეტი შანსი გამარჯვებისა.

– თუმცა ოპოზიციას ამ ეტაპზე არ უჩანს პირი, რომ ერთიანი კანდიდატის მომხრე იყოს.

– თუ ოპოზიციას აქვს კეთილგონიერება, მაშინ ეს უნდა გავაკეთოთ. ჩვენი პარტია ამისთვის მზად არის.

გვარის შეცვლას აპირებთ? ახალი კანონპროექტით მოგიწევთ დაასაბუთოთ, რატომ აკეთებთ ამას

მთავრობამ 6 მარტის სხდომაზე მხარი დაუჭირა საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტს, რომელიც გვარის შეცვლისათვის ახალ რეგულაციებს აწესებს. კანონპროექტი იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა წარადგინა.

ცვლილებების პროექტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეს კვლავ შეეძლება გვარის შეცვლა, მაგრამ სრულწლოვანების შემდეგ მოუწევს, ერთხელ გააკეთოს არჩევანი და მიიღოს: მშობელთა შეერთებული გვარი, პირდაპირი აღმავალი შტოს ერთ-ერთი ნათესავის გვარი მეოთხე თაობის (ბებიის/პაპის ბებია და პაპა) ჩათვლით, საკუთარი და პირდაპირი აღმავალი შტოს ერთ-ერთი ნათესავის (ბებიის/პაპის ბებიისა და პაპის ჩათვლით) გვარების გაერთიანების შედეგად მიღებული გვარი, ფაქტობრივი აღმზრდელის გვარი ან ისტორიული გვარი.



– ამ შემთხვევაში მხედველობაში არ იქნება მიღებული გვარის შეცვლის ის შემთხვევები, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2017 წლის 28 მარტამდე, ანუ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებამდე, – აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში.

შეზღუდვა არ გავრცელდება არც იმ შემთხვევებზე, როდესაც პირებს სურთ მეუღლის გვარის მიღება ან საკუთარი და მეუღლის გვარების გაერთიანების შედეგად მიღებული გვარის ტარება, რის შესახებაც გადაწყვეტილება ქორწინების მომენტში უნდა მიიღონ.

ასევე, ერთხელ გვარის შეცვლის შეზღუდვა არ იმოქმედებს იმ შემთხვევებზე, როდესაც განქორწინების მომენტში პირი გადაწყვეტს დაიტოვოს ქორწინებისას მიღებული მეუღლის გვარი ან საკუთარი და მეუღლის გვარების გაერთიანების შედეგად მიღებული გვარი. ამასთან, პირს ყოველთვის შეეძლება დაიბრუნოს საკუთარი ქორწინებამდელი გვარი, ასევე, შვილად აყვანისას მიიღოს მშვილებლის გვარი, მამობის დადგენისას მიიღოს მამის გვარი, აგრეთვე მიიღოს სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ მისთვის მინიჭებული გვარი (თუ პირის დაბადების სამოქალაქო აქტი რეგისტრირებულია საქართველოში და სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ ამ პირისთვის სხვა გვარის მინიჭების შემდეგ მან მოიპოვა საქართველოს მოქალაქეობა).

გარდა ამისა, გვარის ან სახელის შეცვლის შემთხვევაში, მსურველი ვალდებული იქნება, პირადად მიმართოს შესაბამის უწყებებს (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას). გარდა ქორწინების/განქორწინების შემთხვევებისა, საკითხის გადასაწყვეტად სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში მოეწყობა ზეპირი მოსმენა, სადაც გვარის შეცვლის მსურველი ვალდებული იქნება, პირადად გამოცხადდეს და დაასაბუთოს გვარის შეცვლის საჭიროება.

– გვარის შეცვლას მოქალაქე ვერ მოახერხებს, თუკი განცხადება წარდგენილი არ იქნება უშუალოდ მის მიერ; ის დეპორტირებული ან რეადმისირებულია საქართველოში და დეპორტაციის/რეადმისიის განხორციელებიდან არ გასულა 5 წელი. ცვლილებების პროექტით ასევე დაზუსტდება, რომ ამჟამად კანონში მითითებულ „სამართალდამცავი ორგანოს“ მიერ ძებნილ პირში, რომელიც დღეს ვერ იცვლის გვარს, იგულისხმება არა მხოლოდ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოს მიერ, არამედ უცხო ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოსა და ინტერპოლის მიერ ძებნილი პირიც, – აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში.

საქართველოს მთავრობის პოზიციით, „გვარის შეცვლის წესის გამკაცრების მიზანია, დაიცვას საქართველოს მონაპოვარი უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის ქვეყნებთან, და ის სარგებელი, რასაც ქვეყანა ამ გზით იღებს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო მიმართულებებით“. მთავრობა აცხადებს, რომ კანონი მოახდენს საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შესაძლო დარღვევის პრევენციას, ხელს შეუწყობს დანაშაულის ჩამდენ საქართველოს მოქალაქეთა იდენტიფიკაციას და მყარ საკანონმდებლო გარანტიას შეუქმნის უვიზო მიმოსვლის რეჟიმს ევროკავშირის ქვეყნებთან.

– სახელის შეცვლის ინსტიტუტისგან განსხვავებით, დღეს მოქმედი რეგულაციით, არ არსებობს შეზღუდვა, თუ რამდენჯერაა შესაძლებელი გვარის შეცვლა. სრულწლოვანებაში სახელის მხოლოდ ერთხელ შეცვლის ინსტიტუტი 2014 წელს იქნა შემოღებული, როდესაც საქართველო ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის მიზნით მოლაპარაკებებს მართავდა.

გვართან დაკავშირებულმა ლიბერალურმა რეგულაციამ კი მოგვიანებით გარკვეული პრობლემები შექმნა შენგენის სივრცის ქვეყნებთან. არის შემთხვევები, როდესაც მოქალაქეები ერთი გვარით ჩადიან დანაშაულს ევროკავშირის ტერიტორიაზე, შემდეგ ბრუნდებიან საქართველოში, იცვლიან გვარს მარტივად და მოკლე ვადაში და ახალი ვინაობით მიემგზავრებიან კვლავ შენგენის ზონაში, – ვკითხულობთ სამინისტროს განცხადებაში, სადაც ასევე აღნიშნულია, რომ უცხო ქვეყნის საზღვარზე სათანადო სისტემების უქონლობის გამო ვეღარ ხერხდება ამ პირთა იდენტიფიცირება და ისინი კვლავ ხვდებიან იმ სივრცეში, საიდანაც გამოაძევეს, ან სადაც შესვლა აკრძალული აქვთ.

– ასევე არსებობს შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე პირი დროის მცირე შუალედში რამდენჯერმე იცვლის გვარს. მაგალითად, 2016 წელს 58-მა პირმა გვარი შეიცვალა ორჯერ, ხოლო ერთმა პირმა – 3-ჯერ; 2017 წელს კი 59-მა პირმა გვარი შეიცვალა ორჯერ, ხოლო ერთმა პირმა – 4-ჯერ.

ნეტგაზეთი

სასწრაფო გამოძახებაზე პაციენტის მდგომარეობის განსაზღვრის შემდეგ მივა

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ინფორმაციით, სასწრაფო დახმარების გამოძახებაზე მისვლა ავადმყოფის სიმძიმეზე იქნება დამოკიდებული. სპეციალური კომპიუტერული პროგრამის შესაძენად ამერიკულ კომპანიასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

აკაკი ზოიძე ამბობს, რომ პროგრამით სასწრაფო დახმარების მიწოდების პრიორიტეტულობა განისაზღვრება.

ოპერატორი სპეციალურ პროგრამაში პაციენტის მონაცემებს შეიყვანს და სწორედ ამ ინფორმაციის საფუძველზე პროგრამა შეარჩევს, რომელ პაციენტს უფრო ესაჭიროება სასწრაფო დახმარება. პროგრამის ღირებულება 700.000 დოლარია და მისი შეძენა 112-ის სამსახურსა და თბილისის მერიას წლის ბოლომდე მოუწევთ.

– ეს არის ამერიკული „ემერჯენსი ასოციაციის“ მიერ შესაბამის გაიდლაინებსა და პროტოკოლებზე დაფუძნებული პროგრამა. თუ დღევანდელი სისტემით პაციენტის მდგომარეობის კარგად დაზუსტება ვერ ხერხდება, ახალი ალგორითმით ზუსტად განისაზღვრება, რომელია გადაუდებელი გამოძახება.

გადაუდებლის შემთხვევაში სასწრაფო უფრო მოკლე დროში შეძლებს პაციენტთან მისვლას. როგორც გვეუბნებიან, წლის ბოლომდე შესაძლებელი იქნება ამ პროგრამის შეძენა და დაინერგება სასწრაფო დახმარების სისტემაში.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, გადაუდებელ შემთხვევაში პაციენტთან სასწრაფოს მისვლის დრო 8 წუთს არ უნდა აღემატებოდეს, – განაცხადა აკაკი ზოიძემ.

გერმანიის საელჩო: „მხოლოდ იანვარში გერმანიაში თავშესაფარი საქართველოს 700-ზე მეტმა მოქალაქემ მოითხოვა და მათგან თითქმის 100%-მა უარი მიიღო“

საქართველოში გერმანიის საელჩოს ინფორმაციით, მხოლოდ იანვარში საქართველოს 700-ზე მეტმა მოქალაქემ მოითხოვა თავშესაფარი გერმანიაში და მათგან თითქმის 100%-მა მიიღო უარი.

როგორც გერმანიის საელჩოს ინფორმაციაშია ნათქვამი, უკვე რამდენიმე თვეა საქართველოს მოქალაქეების სულ უფრო მზარდი რიცხვი იყენებს ვიზალიბერალიზაციას იმისათვის, რომ მოითხოვოს გერმანიაში თავშესაფარი მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა მათგანი თავშესაფრის მიღებაზე უარს იღებს.

– გერმანიამ, როგორც ათეული წლების განმავლობაში საქართველოს მჭიდრო პარტნიორმა და მეგობარმა, 2017 წლის მარტში მხარი დაუჭირა საქართველოს მოქალაქეების უვიზო მიმოსვლას შენგენის ზონაში მოკლევადიანი ვიზიტებისათვის. ამასობაში, საქართველოს 200 ათასზე მეტმა მოქალაქემ გამოიყენა ეს შესაძლებლობა. უვიზო მიმოსვლა ემსახურება ასევე გერმანიასა და საქართველოს შორის მრავალფეროვანი კულტურული, ეკონომიკური და საზოგადოებრივი კონტაქტების გაღრმავებას. მაგრამ უკვე რამდენიმე თვეა საქართველოს მოქალაქეების სულ უფრო მზარდი რიცხვი იყენებს ამ თავისუფლებას იმისათვის, რომ მოითხოვოს გერმანიაში თავშესაფარი მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა მათგანი თავშესაფრის მიღებაზე უარს იღებს. ვიზალიბერალიზაციამდე პერიოდთან შედარებით თავშესაფრის მთხოვნელთა რიცხვი სამჯერ გაიზარდა.

მხოლოდ იანვარში შვიდასზე მეტმა საქართველოს მოქალაქემ მოითხოვა თავშესაფარი გერმანიაში. მათგან თითქმის 100%-მა მიიღო უარი. მსგავსი სიტუაცია შეინიშნება ასევე ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებში.

გერმანიაში არალეგალურად მყოფ პირთა და თავშესაფრის დაუსაბუთებელ მთხოვნელთა რიცხვის საგრძნობი მატება იწვევს გერმანიის ფედერალური მთავრობის დიდ შეშფოთებას, ამიტომ მისი აზრით, აუცილებელია სწრაფი და ქმედითი რეაგირება. იმ ღონისძიებების გარდა, რომლებიც ეროვნულ და ევროკავშირის დონეებზე ტარდება, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასევე პარტნიორულ თანამშრომლობას საქართველოს მთავრობასთან იმისათვის, რომ საგრძნობლად შემცირდეს უვიზოდ მიმოსვლის ბოროტად გამოყენება. ამიტომ გერმანიას სურს, კიდევ უფრო გააღრმავოს საქართველოსთან რეადმისიის საკითხებში უკვე არსებული მჭიდრო თანამშრომლობა. გარდა ამისა გერმანია არსებული სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში რამდენიმე წლით შენგენის მთლიან ზონაში შესვლას აუკრძალავს იმ პირებს, რომლებსაც უარი ეთქვათ თავშესაფარზე.

აუცილებელია, არსებულ ტენდენციაში მოხდეს სწრაფი და მდგრადი ცვლილებები, რათა გამყარდეს 2017 წლის მარტში ძალაში შესული ვიზალიბერალიზაცია შენგენის ზონაში მოკლევადიანი ვიზიტებისათვის, – ნათქვამია გერმანიის საელჩოს ინფორმაციაში.

ბათუმის ესტაკადა ივლისში დასრულდება

ბათუმის პორტთან ესტაკადის მშენებლობის დასრულებას მშენებელი კომპანია ივლისში ვარაუდობს.

ესტაკადის მოწყობაზე აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ხელშეკრულება აღნიშნულ კომპანიასთან აქვს გაფორმებული. ხელშეკრულების საერთო ღირებულება 14 მილიონ 370 ათასი ლარია.

აჭარის მთავრობის ინფორმაციით, „ამ ეტაპზე მიმდინარეობს ესტაკადის გვერდის ასაქცევი გზის მშენებლობა და უშუალოდ ესტაკადას საძირკვლის მოწყობა. პროექტის მიხედვით ესტაკადის გვერდის ასაქცევი გზა ჯამში ერთკილომეტრიანი იქნება“.

მშენებელ კომპანიაში განაცხადეს, რომ ასაქცევი გზის თითქმის ნახევარი გაკეთებულია და მაისში ეს მონაკვეთი მთლიანად დასრულდება.

პროექტის მიხედვით, ესტაკადის სიმაღლე – 8,5 მეტრი, ხოლო სიგრძე – 800 მეტრი იქნება. პროექტი ითვალისწინებს ესტაკადის, ასევე ნავსადგურისა და ესტაკადის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი რამდენიმე დამხმარე გზის მშენებლობას.

ესტაკადის მშენებლობის გამო მიმდინარე წლის 17 თებერვლიდან ტრანსპორტის მოძრაობის სქემა შეიცვალა.

15 ათასამდე ქალს ორსულობისას ფიზიკური ძალადობა განუცდია

იმ ქალების 2%-მა, რომლებიც ოდესმე ყოფილან ორსულად, განაცხადეს, რომ განუცდიათ ფიზიკური ძალადობა მინიმუმ ერთი ორსულობის დროს. საქართველოს მასშტაბით ეს მაჩვენებელი დაახლოებით, 15.000 ქალს უდრის.

მათგან 37% განაცხადა, რომ ორსულობის დროს მუცელში ჩაარტყეს მუშტი ან წიხლი. ქალების 64%, რომელმაც ორსულობის დროს ცემის შესახებ განაცხადა, ამბობს, რომ ცემა იყო ძალადობის მიმდინარე ციკლის ნაწილი, რომელსაც ერთი და იგივე პირი ახორციელებდა. უფრო მეტიც, 6%-მა განაცხადა, რომ ძალადობა ორსულობის დროს გამწვავდა.

ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოსი გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და საქსტატის ერთობლივი ძალისხმევით, ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა. საველე სამუშაოები 2017 წელს ჩატარდა. მთელი ქვეყნის მასშტაბით 15-64 წლის 6.006 ქალი და 1.601 კაცი გამოკითხეს.

ქუთაისის მერიიდან 45 თანამშრომელი დაითხოვეს



ქუთაისის მერიის კულტურის განყოფილების ა(ა)იპ-ებში მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში ფილიალებიდან 45 თანამშრომელი გათავისუფლდა. ინფორმაციას „ნიუპრესი“ ავრცელებს.

– ფილიალებში, ისევე, როგორც ადმინისტრაციაში, თანამშრომლები გაფორმებული იყვნენ ზოგადი სპეციალისტის სტატუსით. ამჟამად ზოგადი სპეციალისტის შტატები გავაუქმეთ. 58-ვე ადამიანი მიიღებს ერთთვიან კომპენსაციას. გათავისუფლებულ თანამშრომლებს სამსახურში დაბრუნების შესაძლებლობა აქვთ. ერთი თვის განმავლობაში დარგის სპეციალისტებად ხელშეკრულებით მოხდება იმ ადამიანების აყვანა, რომლებიც წარმოდგენილი ანგარიშებისა და დახასიათებების საფუძველზე შეირჩევიან, – განმარტეს ა(ა)იპ-ში.

კომისიას დახასიათებების განხილვისათვის 20 დღე დასჭირდება. რაც შეეხება ფილიალებიდან გათავისუფლებულ თანამშრომლებს, მათი რაოდენობა სკოლების მიხედვით სხვადასხვაა.

არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ნებაყოფლობით ჩართვაც სისხლისსამართლებრივად დასჯადი გახდება

არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ნებაყოფლობით ჩართვაც სისხლისსამართლებრივად დასჯადი გახდება. იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები მთავრობამ გუშინდელ სხდომაზე დაამტკიცა.

– სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი გახდება არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ჩაბმა, მისი წაქეზება და ამ საქმიანობაში ჩაბმა არაძალადობრივი მეთოდებითაც.

თქვენ იცით, რომ დღეს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ბავშვის პროსტიტუციაში ჩაბმას, თუ ეს კეთდება ძალადობით. ჩვენს დედაქალაქში კლუბებში, ბარებში არასრულწლოვნების პროსტიტუციაში ჩაბმა ხდება მათზე ყოველგვარი ძალადობის განხორციელების გარეშე და ეს ქმედება დღემდე არ იყო რეგულირებული სისხლის სამართლის კოდექსით, შესაბამისად, პოლიციელი და პროკურორი რეალურად იყო ბერკეტს მოკლებული. ეს შეიცვლება, ამიტომ სხვადასხვა გასართობი დაწესებულების მმართველებს მოვუწოდებ, რომ მიიღონ ეს მხედველობაში, რადგან არასრულწლოვნების პროსტიტუციაში ჩაბმა თუნდაც არაძალადობრივი მეთოდით ამიერიდან თავისუფლების აღკვეთით დასჯადი იქნება. ეს მისცემს სერიოზულ ბერკეტებს პოლიციას, რომ ებრძოლოს პროსტიტუციას ყველა თავისი ფორმით და გამოვლინებით, მათ შორის, ე.წ. სუტენიორობის გზითაც, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

რუსი ბიზნესმენი აფხაზეთში წართმეული ქარხნის დაბრუნებას მოითხოვს

რა ხდება მოსკოვში ოკუპირებული აფხაზეთის „საელჩოსთან“

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული აფხაზეთში ჩუსეთის მოქალაქეებს ბევრი უბედურება განუცდიათ. ბოლო ტრაგიკული სეზონი ჩამდენიმე ჩუსი დამსვენებლისთვის საბედისწერო აღმოჩნდა – ზოგი მძარცველებმა მოკლეს, ზოგი ავიაგასეირნებას ემსხვერპლა. თავდასხმისა და წამების ობიექტი გახდნენ აფხაზეთში ახლად დასახლებული ჩუსები.

რეგიონში ყოფილა რუსი ბიზნესმენების მკვლელობის ფაქტებიც. რუსი ბიზნესმენი მიხეილ პანოვი ცოცხალია. მას მსგავსი საწარმო „კავკაზი“ წაართვეს. იგი საკუთარი ქონების დასაბრუნებლად იბრძვის.

პანოვს შეხვდა ოკუპირებული რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრი ადგურ არძინბა და მისი საქმის შესწავლას დაჰპირდა.

ამის პარალელურად მოსკოვში მიმდინარეობს აფხაზეთის ე.წ. საელჩოს შენობის პიკეტირება. პიკეტში შპს „კავკაზის“ თანამშრომლები მონაწილეობენ. ამ მიზნით მათ ფასიანი ავტოსადგომი იქირავეს. იქ გაჩერებულ ავტომობილს აკრავს ბანერი წარწერით „მიტაცებულია რუსეთის მორიგი საწარმო „კავკაზი“. ვინ იქნება შემდეგი?“

მოპიკეტეები უვადო მიტინგსაც აანონსებენ. 50-კაციანი მიტინგი რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაიწყება.

პლასტიკური მილების ქარხნის მშენებლობა პანოვმა 2010 წელს დაიწყო. ამ მიზნით მან გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში იჯარით აიღო მიწა. საწარმო, რომელიც ყველაზე მსხვილი იყო აფხაზეთში, 2015 წელს ამუშავდა.

პანოვის თქმით, პრობლემები მას შემდეგ დაიწყო, რაც საწარმომ მოგება ნახა. მასთან სიარული დაიწყეს ადგილობრივებმა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ახლოს არიან ხელისუფლებასთან. მათ მოითხოვეს მონაწილეობა საწარმოს სამეურნეო და საფინანსო საქმიანობაში.

მეპატრონემ ისინი უარით გაისტუმრა და მომხდარი სამართალდამცავებს შეატყობინა. მათგან ამაზე რეაგირება არ ყოფილა.

ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ 2016 წლის სექტემბერში იგივე ჯგუფი შეიჭრა ქარხანაში, გამოყარა შენობიდან თანამშრომლები და რუსეთის საზღვართან მიიყვანა. ისინი რუსეთში დაბრუნდნენ.

მეპატრონე არაერთხელ ცდილობდა საკუთარ საწარმოში შეღწევას, მაგრამ ამაოდ.

მიხეილ პანოვი თავის პრობლემაზე პირადად დეფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბასაც ესაუბრა. ხაჯიმბა მას თანაგრძნობით შეხვდა და დახმარებას შეჰპირდა.

ამ შეხვედრიდან რამდენიმე დღეში პანოვს ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები დაუკავშირდნენ. მათ ითავეს შუამავლობა საწარმოს ახალ მეპატრონეებთან. შუამავლებს სხვა წინადადებებიც ჰქონდათ – ქარხნის გამოსყიდვა ან ნაციონალიზაცია. ინვესტორი ამ პირობებს არ დათანხმდა.

იგი აგრძელებს ბრძოლას წართმეული ქონების დასაბრუნებლად. საპროტესტო აქცია იმართება მოსკოვში.

შესაძლოა, მას დახმარება იმ მოხელეებმა გაუწიონ, რომლებიც სამსახურებრივად დაკავშირებული არიან აფხაზეთთან. ოკუპირებული

რეგიონი სუბსიდიებს მოსკოვიდან იღებს. თუ საქმეს რეზონანსი მიეცა, მარიონეტულ ხელისუფლებას ასეთი ფაქტების გამო გაკიცხავენ. გამორიცხული არ არის, აფხაზეთმა დაფინანსებაც დაკარგოს.

რატომ დანიშნა ალიევმა საპრეზიდენტო არჩევნები ექვსი თვით ადრე

საპრეზიდენტო არჩევნები აზერბაიჯანში ექვსი თვით ადრე, 2018 წლის 11 აპრილს დანიშნეს. ქვეყნის ხელისუფლებამ ასეთი მოულოდნელი ნაბიჯი პირველად გადადგა. ყველაზე კრიზისულ მომენტშიც კი, როდესაც აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი ფაქტობრივად სიკვდილის პირას იმყოფებოდა, შვილის, ილჰამ ალიევის პრეზიდენტის პოსტზე დასანიშნად ხელისუფლება არჩევნების თარიღს მაინც დაელოდა.

დღეს კი აზერბაიჯანის ხელისუფლების ასეთმა გადაწყვეტილებამ საზოგადოების ნაწილი და ქვეყნის ოპოზიცია გააოცა. ვარაუდები იმის შესახებ, თუ რატომ დასჭირდა ხელისუფლებას ასე აჩქარება, განსხვავებულია.

მოძრაობა „რესპუბლიკური ალტერნატივის“ აღმასრულებელი მდივნის, ნატიგ ჯაფარლის აზრით, საპრეზიდენტო არჩევნების ვადის ექვსი თვით გადმოწევა სინამდვილეში 2016 წელს აღებულ პოლიტიკურ კურსს უკავშირდება – ორი წლის წინ ჩატარებული რეფერენდუმის დროს პრეზიდენტის უფლებამოსილება გაიზარდა, დამტკიცდა ვიცეპრეზიდენტების თანამდებობა და პრეზიდენტის უფლება, ვიცეპრეზიდენტები აირჩიოს.

– ერთი წლის წინ პრეზიდენტმა პირველი ლედი ვიცეპრეზიდენტად დანიშნა. ახლა კი ქვეყანაში ვიცეპრეზიდენტების ინსტიტუტი მკვიდრდება. ფაქტიურად, ქვეყანაში ორხელისუფლებიანობაა იმ გაგებით, რომ გავლენის გარკვეული სფეროები ნელ-ნელა ვიცეპრეზიდენტის ინსტიტუტის გავლენის ქვეშ გადადის. ვფიქრობ, პრეზიდენტი ხვდება, რომ ქვეყნის მმართველობის სტილი უნდა შეცვალოს. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ ვიტყვით, ეს დადებითი ცვლილებები იქნება თუ ნეგატიური, მაგრამ ისინი მნიშვნელოვანია, – ამბობს ჯაფარლი.

ქვეყანაში ცვლილებები უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გახდა შესამჩნევი. ამ დროის განმავლობაში რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურა გაუქმდა, ძალაუფლება ჩამოერთვა რამდენიმე მინისტრს, რომლებმაც ჯერ კიდევ ამჟამინდელი პრეზიდენტის მამის მმართველობის დროს დაიკავეს ეს პოზიცია, მათი სახელები კორუფციასთან და ქვეყანაში მონოპოლიასთან დაკავშირებულ ჟურნალისტურ გამოძიებებში გამოჩნდა და ისინი აზერბაიჯანში არაოფიციალურად წარმოადგენდნენ „ძლიერ ძალას“. საინტერესოა, რა აკავშირებთ ერთმანეთთან ვადამდელ არჩევნებსა და აღნიშნულ ამბებს?

„ოლიგარქებმა ფული და ძალაუფლება მოიპოვეს და საშიშები გახდნენ“

ჯაფარლის აზრით, ოლიგარქების ძველი სისტემა აღარ მუშაობს: „ეს მნიშვნელოვანი მომენტია – აქამდე ქვეყანას ოლიგარქი მინისტრები მართავდნენ, რომლებიც ძირითადად ბიზნესით იყვნენ დაკავებულნი. ეს სისტემა საშიში გახდა იმიტომ, რომ ეს ხალხი ათწლეულების განმავლობაში ბიზნესსაქმიანობას ეწეოდა და საკმაოდ გავლენიანი და საშიში გახდა თავად ხელისუფლებისთვისაც კი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთი მინისტრის გადაყენება გრძელვადიან და მეთოდურ მიდგომებს საჭიროებდა. პირველად მისი ბიზნესის პარალიზება უნდა მომხდარიყო, შემდეგ კი მისი გავლენა შემცირებულიყო, ან მის დაქვემდებარებაში მყოფი სამინისტრო სხვა სამინისტროსთან გაერთიანებულიყო“.

ჯაფარლის აზრით, არჩევნების შემდეგ მათ გაუშვებენ და ხელისუფლებაში ახალგაზრდა, განათლებული პოლიტიკოსები მოვლენ:

– ახალ ჩინოვნიკებს ბიზნესსაქმიანობას აუკრძალავენ და დიდ ხელფასებს დაუნიშნავენ. ისინი სიმდიდრეს და ძალაუფლებას ვერ დააგროვებენ და ამით ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის მისაღები გახდებიან. მათი შეცვლა და გათავისუფლება ადვილი იქნება, – ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

„ხელისუფლებამ გადაწყვიტა, საერთაშორისო თანამეგობრობას არჩევნების მონიტორინგის უფლება არ მისცეს“

ოპოზიციური პოლიტიკური პარტია მუსავატის ლიდერი, არიფ გაჯილი ვადამდელ არჩევნებს ქვეყანაში შექმნილ ეკონომიურ-პოლიტიკურ კრიზისს უკავშირებს.

მისი აზრით, კრიზისის ზრდასთან ერთად ამომრჩევლების მიერ ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულება იცვლება.

– შემოდგომისთვის შესაძლოა უფრო რთული იყოს, არჩევნების თავიანთ სასარგებლოდ შემობრუნება, ხოლო ხალხის უკმაყოფილების და უთანხმოების ფონზე ბევრი რამ შეიძლება მოხდეს, რაც არჩევნებზე აისახება, – ამბობს გაჯილი.

ის ასევე მიიჩნევს, რომ ამ გზით ხელისუფლებას სურს, საერთაშორისო ორგანიზაციებს არჩევნების მონიტორინგში შეუშალოს ხელი, რაც აზერბაიჯანის ხელისუფლების მიმართ საერთაშორისო უნდობლობას იწვევს.

გაჯილი ამბობს, რომ ვადამდელი არჩევნების დანიშვნას ქვეყნის შიგნითაც მოჰყვება კრიტიკა:

– ამ არჩევნებმა ქვეყანაში ნიჰილიზმი გაზარდა, ხოლო სამოქალაქო უკმაყოფილება და ეკონომიკური კრიზისი გაამძაფრა. ხელისუფლება არჩევნების გადმოტანით უფრო რისკავს, ვიდრე იმარტივებს საქმეს.

არსებობს აზრი, რომ ოლიგარქია ხელისუფლებას პრობლემებს უქმნის და პრეზიდენტს სწრაფად სჭირდება თავიდან არჩევა, რადგან კლანებს შორის დაპირისპირებამ შეიძლება ფატალური შედეგი მოიტანოს.

ამის შესახებ საუბრობს პოლიტიკოსი ჰიკმეთ გაჯიზადე. მისი აზრით, შიდა კრიზისი გარდაუვალია და პრეზიდენტი საკუთარ ძალაუფლებას აძლიერებს:

– უკანასკნელ წლებში ჩატარებულმა სერიოზულმა რეფორმებმა ოლიგარქებს შორის ბუნტი გარდაუვალი გახადა. ქვეყანას პოლიტიკური კრიზისი უახლოვდება და პრეზიდენტისთვის აუცილებელია ძალაუფლების გაძლიერება. ისეთი პოპულისტური გამონათქვამები, როგორიცაა „ერევნის სახანო“ და ყარაბაღის საკითხი, ამის ნაწილია. ვფიქრობ, ეს წელი ძალიან საინტერესო იქნება, – ამბობს გაჯიზადე.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა სომხეთის დედაქალაქ ერევანს „აზერბაიჯანული მიწა“ უწოდა და განაცხადა, რომ აზერბაიჯანელებს ისტორიულ სამშობლოში ცხოვრების უფლება აქვთ. პოლიტოლოგებმა ამ განცხადებას პოპულისტური და წინასაარჩევნოდ ამომრჩეველზე გათვლილი უწოდეს.

როგორც Worldview.stratfor.com წერს, არსებობს რამდენიმე მიზეზი, რის გამოც არჩევნები დანიშნულ ვადაზე ადრე ჩატარდება. აზერბაიჯანის რამდენიმე ოპოზიციური პარტიის აზრით, ეს გადაწყვეტილება შესაძლოა მომავალ არჩევნებში ოპოზიციის გავლენის შესასუსტებლად გაკეთდა, რათა მათ არ დარჩეთ საკმარისი დრო არჩევნებისთვის მოსამზადებლად. გამოცემის თქმით, ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ოპოზიციური პარტიები ალიევისთვის პრობლემას არასდროს წარმოადგენდა და თითქმის 15-წლიანი მმართველობის განმავლობაში მან ყველა არჩევნები მოიგო 75%-ზე მეტი მხარდაჭერით.

გამოცემის ვარაუდით, აზერბაიჯანს შესაძლოა სურს თავიდან აიცილოს ევროსაბჭოს სანქციები, რომლებიც ადვოკატისა და ოპოზიციური პარტიის ლიდერ ილგარ მამადოვის დაპატიმრებასთან დაკავშირებით დაეკისრება. მათი აზრით, თუ აზერბაიჯანის მთავრობა სანქციების არიდების მიზნით მამადოვს გაათავისუფლებს, ამას არჩევნების შემდეგ იზამს, რათა მამადოვისგან პოლიტიკური გამოწვევა არ მიიღოს.

ამ ვერსიას ეხმიანება კავკასიის საკითხების ანალიტიკოსი თომას დე ვალი, რომლის აზრით, მამადოვი, ისევე როგორც ნავალნი პუტინისთვის, ალიევთან რეალური შანსების მქონე მოწინააღმდეგეა. მისი თქმით, მამადოვის პარტია იურისტებისა და ეკონომისტებისგან შედგება, რომელთაც ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზებისა და ქვეყნის დემოკრატიისკენ სწრაფვის იდეები ამოძრავებთ და აზერბაიჯანის ელიტის ნაწილის ბუნებრივი მხარდაჭერაც აქვთ.

თომას დე ვალმა საკუთარი ტვიტერის გვერდზე დაწერა, რომ არჩევნების გადმოტანა სწორედ მამადოვის გათავისუფლების მიზნით მოხდა, რათა აზერბაიჯანმა ევროსაბჭოს სანქციებს აარიდოს თავი.

ნეტგაზეთი

ბიძინა ივანიშვილის ქონება 100 მილიონი დოლარით გაიზარდა

Forbes-მა 2018 წლის მილიარდერების სია გამოაქვეყნა. წინა წელთან შედარებით საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ქონება 100 მლნ დოლარით გაიზარდა. 2017 წელს ივანიშვილის ქონება 4.5 მილიარდი აშშ დოლარი იყო, ახალ რეიტინგში ყოფილი პრემიერის ქონება 4.6 მილიარდი აშშ დოლარად არის შეფასებული.

Forbes-ის ინფორმაციით, ყველაზე მდიდარი ქართველი რუსეთში ლითონისა და

საბანკო ბიზნესით გამდიდრდა. 4.6 მილიარდი აშშ დოლარით ბიძინა ივანიშვილი Forbes-ის რეიტინგში 456-ე ადგილს იკავებს.

Forbes რეიტინგს 32-ედ აქვეყნებს. გამოცემის თანახმად, პლანეტის 20 ყველაზე მდიდარი ადამიანის ქონება, რომელიც დაახლოებით 1.2 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენს, მექსიკის მთლიანი ეკონომიკის მოცულობას უდრის.

2018 წლის Forbes-ის რეიტინგში Amazon-ის დამფუძნებელი ჯეფ ბეზოსი ლიდერობს. გამოცემის ინფორმაციით, გასული წლის 12 თვეში Amazon-ის აქციების ფასი 59%-ით გაიზარდა. შედეგად მისი მფლობელის ქონებამ 39.2 მილიარდი აშშ დოლარით მოიმატა. ამჟამად ბეზოსი 112 მილიარდ დოლარს ფლობს. მეორე ადგილზე ბილ გეითსია 90 მილიარდი დოლარით.

რაც შეეხება მეთოდოლოგიას, მილიარდერების სიის გამოქვეყნებისას Forbes ბაზარზე კომპანიების აქციის ფასების ცვლილებას, გაცვლით კურსს ითვალისწინებს. გამოცემა მხოლოდ კონკრეტული ადამიანების ქონებას ითვლის და არ ითვალისწინებს მისი ოჯახის წევრების სახელზე არსებულ კაპიტალს.

ნეტგაზეთი

როგორ მიიყვანეს MILKO FOOD გაკოტრებამდე



საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანია „ჯორჯიან მილკ“-ის 25-25%-ს ძმები ლევან და დავით ალავიძეები ფლობენ, 25%-ს ფლობს ალექსანდრე კოზმანაშვილი, ხოლო 25%-ს – გიორგი ბიძინაშვილი. 25%-იანი წილის მფლობელი, გიორგი ბიძინაშვილი,BM.GE-სთან ამბობს, რომ 2014 წლიდან ურთიერთობა პარტნიორ ძმებ ალავიძეებთან დაიძაბა. მისი თქმით, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ლევან ალავიძეს ბიზნესის დაწყება ჩინეთში სურდა. საჭირო ფინანსებისთვის კი გადადგა ნაბიჯი, რამაც კომპანია „მილკო ფუდი“ გაკოტრებამდე მიიყვანა.

– შეიქმნა კომპანია, რომელიც მის მეუღლეზეა დარეგისტრირებული, რომლის გავლითაც შემოდიოდა ნედლეული კომპანია „მილკო ფუდში“. ერთ კომპანიას დაემატა მეორე კომპანია, დავით ალავიძის კომპანია, რომელმაც თავის მეგობარ ქალზე გააფორმა ეს კომპანია და მილკო ფუდში თითქმის 100%-იანი ფასნამატით შემოდიოდა ნედლეული, რამაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა კომპანია, – აცხადებს გიორგი ბიძინაშვილი.

მას შემდეგ, რაც გიორგი ბიძინაშვილმა კომპანიაში შექმნილი პრობლემების შესახებ ღიად განაცხადა, ამბობს, რომ მას ლევან და დავით ალავიძეები მიუვარდნენ და დაპირისპირების შემდეგ კომპანიის მენეჯმენტი დატოვა. უკვე 2017 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, როცა მილკო ფუდის ქარხანას დახურვა დაემუქრა, აღარ შემოდიოდა ნედლეული და კომპანია დატოვა კვალიფიციურმა კადრებმაც, მეგობრების დახმარებით მოიძიეს ბელორუსული ჯგუფი, რომელიც კომპანიაში ინვესტიციებს განახორციელებდა, თუმცა ამბობს, რომ ალავიძეებმა ინვესტორი კომპანიიდან გააქციეს.

– დაახლოებით ნახევარ მილიონ ლარამდე ინვესტიცია განახორციელეს ნედლეულის სახით. ამის შემხვედრად მოჰყვა ის, რომ ერთ-ერთი პარტნიორი, როგორც გავიგე, ჩადიოდა სალაროში და შემოსულ ფულს იღებდა. როდესაც ასეთი დამოკიდებულება დაინახეს, მათ თქვეს, აღარ გვაინტერესებს, დაგვიბრუნეთ თანხები და ჩვენ წავალთო. აღმოჩნდა, რომ ნედლეულიც ვეღარ წაიღეს, რადგან გახარჯული იყო. ასე პრაქტიკულად გააგდეს და გადააგდეს ინვესტორი, რომელიც შემოვიდა კომპანიაში, – განმარტავს ბიძინაშვილი.

კომპანიაში შექმნილი რთული მდგომარეობიდან გამომდინარე, დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით, გადაწყდა, რომ კომპანია იჯარით გაეცათ. ბიძინაშვილი განმარტავს, რომ დოკუმენტს ხელს თავად დავით ალავიძე აწერს, თუმცა კრედიტორებთან, რომელთა მიმართაც თითქმის 15 მილიონ ლარამდე დავალიანება დაგროვდა, ალავიძეები ამტკიცებენ, რომ მოიჯარემ საწარმო წაართვა და კომპანიიდან მათ გაგდებაში კრედიტორებს დახმარებას სთხოვს.

– მან არ აჩვენა კრების ოქმი, სადაც თვითონ ალავიძეები არიან თანახმა და ყველა პარტნიორი, რომ წარმოება გაიცეს იჯარით. დაუყენა საკითხი ისე, რომ გამომაძევეს კომპანიიდან, წამებულის იმიჯს ქმნის და თუ წარმოება არ მექნება თქვენ საიდან გადაგიხდით კრედიტებს და ა.შ., დაუყენა საკითხი, უნდა მომეხმაროთ ჩემი წარმოების დაბრუნებაში, ჩემ უკან დგანან, უხსენებია კრიმინალური დაჯგუფება, რომელიც მხარში დაუდგება და ამ მოიჯარეებს გაყრიან წარმოებიდან, – ამბობს გიორგი ბიძინაშვილი.

მისი თქმით, კომპანია მილკო ფუდი მიწის აქტივებს ფლობს როგორც ბათუმში, ისე ნატახტარში, რაც კრედიტორების დავალიანებას მოემსახურება, თუმცა ალავიძეებმა აღნიშნული მიწები საკუთარ სახელზე გადაიფორმეს და ცდილობენ, კრედიტორებთან დაზარალებულის როლში გამოვიდნენ.

– არის მცდელობა იმისა, კრედიტორებთან წარმოჩნდეს, რომ ბათუმისა და ნატახტარის მიწები არსად ჩანდეს და მთელი აქცენტი გაკეთდეს, რომ აი რა ვქნა, წამართვეს ქარხანა და ვერანაირად ვერ გადაგიხდით კრედიტებს, მაშინ როცა თვითონ ალავიძეებმა გასცეს იჯარაზე თანხმობა, – განმარტავს ბიძინაშვილი.

ბიძინაშვილი ასევე გვიყვება, რომ ალავიძეები მოიჯარე კომპანია „რესპუბლიკას“ ედავებიან ბრენდის გამოყენებაზეც, მაშინ როცა მათი თანხმობით მოხდა ბრენდირებული აქტივების გადაწერა მოიჯარეებისთვის. მისი თქმით, 2014 წელს, ალავიძეების ქმედებებიდან გამომდინარე, დღეს კომპანია მილკო ფუდი გადახდისუუნაროა და ვერ ემსახურება კრედიტორების დავალიანებას.

მაგთიკომი და ჯეოსელი, სავარაუდოდ, დემპინგურ ფასებს იყენებდნენ

მაგთიკომი და ჯეოსელი საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებს დაბალ ფასად, როგორც ჩანს, სხვა აბონენტების ხარჯზე ემსახურებოდნენ.

საზოგადოებრივი მაუწყებელი კომუნიკაციების კომისიის წინასწარ ინფორმაციაზე დაყრდნობით წერს, რომ მაგთიკომი“ და „ჯეოსელი“ კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე ორგანიზაციებს დემპინგური ფასებით ემსახურებოდნენ.

უფრო კონკრეტულად, კონსოლიდირებული ტენდერის მომსახურების ფარგლებში 2017 წელს „მაგთიკომის“ შემთხვევაში ზარალმა 32.204.577 ლარი შეადგინა, ხოლო „ჯეოსელის“ შემთხვევაში – 7.781.581 ლარი. აღნიშნულ ზარალს კომპანიები სხვა წყაროებიდან აბალანსებდნენ.

მარეგულირებელი კომისია ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ კანონისა და კომისიის გადაწყვეტილებების დარღვევაზე მიუთითებს. თუმცა, კომპანიების თხოვნით, საკითხის განხილვა 15 მარტამდე გადაიდო. დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, „მაგთიკომსა“ და „ჯეოსელს“ გაფრთხილება მიეცემათ.

2017 წელს ბანკებს საჩივრით 3.665 მოქალაქემ მიმართა

მომხმარებელთა მხრიდან კომერციული ბანკებისადმი პრეტენზიები იზრდება. 2017 წლის მონაცემებით, ბანკებში 3.665 საჩივარი შევიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 28,2%-ით მეტია.

2016 წელს ბანკებს პრეტენზიით 2.857-მა ადამიანმა მიმართა.

2017 წელს პრეტენზიების პირველი სამეულში შედიან:

1) მიმდინარე ანგარიში – 878 განაცხადი

2) სამომხმარებლო სესხი – 736 განაცხადი

3) საკრედიტო ბარათი – 426 განაცხადი

პრეტენზიების შინაარსის მიხედვით, ჯამში შემოსული პრეტენზიების დაახლოებით ნახევარი ტრანზაქციებს, ჯარიმებსა და საკომისიოებს უკავშირდება.

ამასთან, ეროვნული ბანკის ანგარიშის მიხედვით, კომერციულ ბანკებში შესული და სრულად განხილული პრეტენზიებიდან მხოლოდ 25,8% (946 განაცხადი) იქნა მიჩნეული საფუძვლიანად ბანკების მიერ და მათი გადაწყვეტა მომხმარებლების სასარგებლოდ მოხდა, 69,9%-ის შემთხვევაში (2.562 განაცხადი) ბანკმა პრეტენზია უსაფუძვლოდ მიიჩნია, 108 შემთხვევის განხილვა კი არ დასრულებულა.

რაც შეეხება 2016 წელს, შარშან კომერციულ ბანკებში 2.857 განცხადება შევიდა, რაც 5,9%-ით მეტია 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2015 წელს ბანკებს პრეტენზიით 2.697-მა ადამიანმა მიმართა.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლამდე დაფიქსირებული პრეტენზიების რაოდენობა მზარდი დინამიკით ხასიათდებოდა, ხოლო 2015 წელს აღნიშნული მონაცემი პირველად შემცირდა. თუმცა 2016 წელს ისევ ზრდა დაფიქსირდა.

აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა ცხელი ხაზი ეროვნულ ბანკში 2011 წლიდან მოქმედებს. პრეტენზიების სტატისტიკაც მას შემდეგ იწარმოება. თუმცა იმ პრეტენზიების ოდენობა, რომლებიც ბანკის მიერ საფუძვლიანად არის მიჩნეული, ყოველთვის მცირეა, ვიდრე უსაფუძვლო. მაგალითად, 2015 წელს საფუძვლიანი პრეტენზიების წილმა მთლიან მაჩვენებელში 28% შეადგინა, 2016 წელს – 20%, 2017 წელს კი 25,8%.

თუმცა მომხმარებელი ამ სტატისტიკას სანდოდ სულაც არ მიიჩნევს. საზოგადოების გარკვეული ნაწილის აზრით, დღესდღეობით კომერციული ბანკები მომხმარებლების როგორც ინტერესებს, ასევე მათ თავიანთი სამართლის დამტკიცებას ცდილობენ, შესაბამისად, პრეტენზიების განხილვის პროცესში უფლებებს სულ უფრო ნაკლებად ითვალისწინებენ და იცავენ. რა თქმა უნდა, მომხმარებელთა საჩივრის დაკმაყოფილების პროცენტულობა მაღალი არ არის.

რისი ყიდვა შეიძლება ქართულ საფონდო ბირჟაზე

ყველა მეტ-ნაკლებად განვითარებულ და თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში არსებობენ ორი კატეგორიის ეკონომიკური ქცევის ადამიანები: შავერს – ვინც ფულს, რესურსს ზოგავს დღეს, რათა მომავალში დახარჯოს და შპენდერს – ვისაც თავისი ბიზნესიდეების განსახორციელებლად ფული დღეს სჭირდება.

ამ ორი კატეგორიის ადამიანები ერთმანეთს საფონდო ბირჟაზე ხვდებიან – დამზოგავები ყიდულობენ პერსპექტიულ აქციებს, მხარჯველები აქციებიდან ამოღებული კაპიტალით ავითარებენ ბიზნესს.

„საქართველოს საფონდო ბირჟა“ 18 წლის წინ შეიქმნა USAID-ის დახმარებით და ის საქართველოს ტერიტორიაზე ერთადერთი ლიცენზირებული ბირჟაა.

დღეის მონაცემებით, „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ შეგიძლიათ შეიძინოთ A კატეგორიის სამი ემიტენტის (EBRD-ის, სილქნეტის და საქართველოს ბანკის), B კატეგორიის 6 ემიტენტისა და 101 უკატეგორიო კომპანიის აქციები თუ ობლიგაციები.

აქციების მინიმალური ფასი 1 თეთრიდან იწყება (სს „თელიანი ველი“, სს „ლიბერთი ბანკი“) და 50 ლარს აღწევს (სს „თბილისის უნივერსალური სავაჭრო ბაზა“), ხოლო ობლიგაციებს 1.000 ლარიდან (სს „სილქნეტი“) 10.000 აშშ დოლარამდე ფარგლებში შეიძენთ (სს „ნიკორა“).

ბირჟის საერთო საბაზრო კაპიტალიზაცია 2017 წლის ბოლოსთვის შეადგენს 1,27 მილიარდ დოლარს.

აქციებით ვაჭრობა შესაძლებელია როგორც „საქართველოს საფონდო ბირჟის“ სავაჭრო დარბაზში, ასევე ლიცენზირებული ბროკერების მეშვეობით.

ბირჟაზე დაშვებული 10 ყველაზე დიდი ქართული კომპანიის ჯამური კაპიტალიზაციით იზომება „საქართველოს საფონდო ბირჟის ინდექსი“ GSX, რომელსაც 2009 წლიდან (72.78) 2017 წლის ოქტომბრამდე (116.62) სტაბილურად მცირე ზრდა ჰქონდა, თუმცა 2017 წლის ნოემბერში ინდექსი თითქმის გაორმაგდა (227.17) – ამის სავარაუდო მიზეზი შეიძლება სს „ლიბერთი ბანკის“ გაყიდვა იყოს.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად ასრულებს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ ქვეყნის კაპიტალის ბაზრის ფუნქციას და ფინანსური სექტორისთვის ლიკვიდური კაპიტალის მიწოდებას – ამის გასარკვევად ისიც კი კმარა, რომ 2018 წლის 26 იანვრიდან დღემდე ქართულ ბირჟაზე სულ 25 გარიგება დაიდო, რომელთა საერთო ღირებულებამ 117.527 ლარი შეადგინა, მაშინ როდესაც ლონდონის საფონდო ბირჟა ამავე პერიოდში დღეში საშუალოდ 6 მლრდ 192 მლნ ევროს ვაჭრობდა. მოსკოვის საფონდო ბირჟის ბრუნვამ ბოლო 1 თვეში 58 ტრილიონი რუსული რუბლი (დაახლოებით 1 ტრილიონი დოლარი) შეადგინა. ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანზე ბოლო თვის მონაცემი ვერ ვნახეთ, თუმცა შედარებისთვის ისიც კმარა, რომ 2017 წელს ბაქოს საფონდო ბირჟაზე ბრუნვამ 11 მილიარდ აზერბაიჯანულ მანათს (6.52 მილიარდი დოლარი) გადააჭარბა.

საქართველოში საფონდო ბირჟის განუვითარებლობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს:

1. ძალიან მცირეა შიდა დანაზოგები;

2. საზოგადოება საერთოდ არაა ინფორმირებული ბირჟის არსებობისა და არსის შესახებ;

3. ამის გამო, ის მოქალაქეები, ვინც მაინც ახერხებს რაიმეს დაზოგვას, საკუთარ ფულს უფრო „სანდო, ტრადიციულ“ აქტივებში აბანდებს – ყიდულობს უძრავ ქონებას, ძვირფას ლითონებს, ანტიკვარიატს.

ის სააქციო საზოგადოებებიც, რომლებიც საკუთარი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობენ ჩვენს საფონდო ბირჟაზე, იმდენად იშვიათად გასცემენ დივიდენდებს, რომ ვერც მათ პირად ვებგვერდებზე და ვერც საფონდო ბირჟის საიტზე მსგავსი ინფორმაცია ვერ ვნახეთ.

შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „საქართველოს საფონდო ბირჟას“ დღეს აქვს სუფთა ბუტაფორიული ფუნქცია, მაგრამ მისი არსებობა მაინც აუცილებელია სამომავლოდ კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის.

ასევე, თუ მაინც გადაწყვეტთ რომელიმე ქართული სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდების შეძენას, შეგიძლიათ ეწვიოთ ბირჟის ოფიციალურ ვებგვერდს ან ბირჟისა და მისი ბროკერების სავაჭრო დარბაზებს. ქართულ საფონდო ბაზარზე კი ფულის ჩადება ალბათ საბანკო სექტორში ღირს – ეს სფერო საქართველოში ყველაზე მეტად განვითარებული და სტაბილურად მზარდია.

„შუამთამ“ ამერიკის ბაზარზე ექსპორტი შეაჩერა



თელავში 2007 წელს დაფუძნებული ქართული ყველის მწარმოებელი კომპანია „შუამთის“ პროდუქცია აშშ-ში წარმატებით იყიდებოდა, თუმცა, როგორც „კომერსანტთან“ საუბრისას კომპანიის დამფუძნებელი ლევან ბეჟანიშვილი აცხადებს, ამ ეტაპზე ექსპორტი დროებით შეაჩერა, რადგან უცხოეთის ბაზარზე კონკრეტული საკითხებია მოსაგვარებელი.

„შუამთის“ 200 კვადრატულ მეტრზე არსებული საწარმო თელავში 22 სახეობის ეკოლოგიურად სუფთა ყველს ამზადებს და კახეთში, აჭარის რეგიონში, რუსთავსა და თბილისში მსხვილ სუპერმარკეტებში იყიდება.

საწარმოში სულგუნის 10 სახეობას, პრესილ ყველს შვეიცარული და ჰოლანდიური ტექნოლოგიით ამზადებენ, რძეს კი მცირე ფერმერებისგან იბარებენ. საწარმოში ასევე არის შებოლილი ყველისა და ჭყინტის ნადუღში წარმოების შესაძლებლობა.

ლევან ბეჟანიშვილის განცხადებით, დღეს ნატურალური რძით ყველის წარმოება თითქმის არ ხდება.

– დღეს საქართველოში იმ ოდენობის წველადობა არ არის, რომ სუფთა რძისგან წარმოებულმა პროდუქციამ სრული სეგმენტი დააკმაყოფილოს, – განაცხადა ბეჟანიშვილმა.

მისივე განცხადებით, ეს საკითხი სახელმწიფო დონეზე უნდა გადაწყდეს და გარკვეული სახის რეგულაციები დაწესდეს.

როგორც საწარმოს დამფუძნებელი „კომერსანტთან“ კონკურენციაზე საუბრისას განმარტავს, უხარისხო საწარმოები საკუთარი პროდუქციით ბაზარზე არასახარბიელო გარემოს ქმნიან.

ლევან ბეჟანიშვილი ბანკებთან ურთიერთობის თემასაც შეეხო და აღნიშნა, რომ „პროცენტი უფრო დაბალი უნდა იყოს, ხოლო სესხი – გრძელვადიანი, რადგან ბიზნესს მცირე დროში განვითარება უჭირს“, – განმარტა მეწარმემ.

ინციდენტი 157-ე საჯარო სკოლაში

ინციდენტი თბილისის 157-ე საჯარო სკოლაში – სამართალდამცავები ფაქტს იძიებენ. ადგილზე მუშაობდნენ როგორც საპატრულო, ასევე კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლები.

არსებული ინფორმაციით გუშინ ერთმანეთს ორი მერვეკლასელი დაუპირისპირდა. როგორც ცნობილია, ფიზიკური დაპირისპირება სპორტის გაკვეთილის დროს მერვეკლასელებს შორის მოხდა. შედეგად ერთი მოზარდი დაშავდა, მას სახის არეში დაზიანებები აღენიშნებოდა. თუმცა დაზიანებები მსუბუქი აღმოჩნდა და არასრულწლოვნის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა საჭირო არ გახდა. ორივე მოზარდი ამ დროისათვის სახლში იმყოფება.

შემთხვევას რამდენიმე თვითმხილველი ჰყავს თანაკლასელებისა და მასწავლებლის სახით.

თელავში ახალგაზრდა კაცი ჩამომხრჩვალი იპოვეს

თელავში, რუსთაველის გამზირზე, ახალგაზრდა კაცი ოჯახის წევრებმა საკუთარ სახლში ჩამომხრჩვალი იპოვეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც ადამიანის თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

რუსთავში გაზით 7 ადამიანი მოიწამლა

რუსთავში, მე-19 მიკრორაიონში, 7 ადამიანი ბუნებრივი აირის გაჟონვით მოიწამლა. მათ შორის ერთი მცირეწლოვანია. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ 4 ადამიანს ადგილზე გაუწია პირველადი დახმარება, 3 კი კლინიკაში გადაიყვანეს.

ექიმების ინფორმაციით, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

„წითელ ხიდზე“ არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა საბაჟო-გამშვებ პუნქტ „წითელ ხიდზე“ ეჭვის საფუძველზე აზერბაიჯანის მოქალაქის ბ.ს-ს კუთვნილი ხელჩანთის დათვალიერების შედეგად არადეკლარირებული ოქროს 110.43 გრამის ნაკეთობები აღმოაჩინეს. შემოსავლების სამსახურის ცნობით, საქონლის საბაჟო ღირებულებამ 6.206.75 ლარი შეადგინა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევ მოქალაქეს სანქციის სახით ფულადი ჯარიმა 6.206.75 ლარის ოდენობით შეეფარდა.

„წითელ ხიდზე“ არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს

საბაჟო-გამშვებ პუნქტ „წითელ ხიდზე“ 260 ღერი აქციზურ მარკირებას დაქვემდებარებული არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყანაში უკანონოდ შემოტანის ფაქტი გამოვლინდა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

მათივე ცნობით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული საქონელი საქართველოს მოქალაქე მ.ც-ს ფიზიკური დათვალიერებისას აღმოაჩინეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს ჩამოერთვა საქონელი და ფულადი ჯარიმა ათასი ლარის ოდენობით შეეფარდა.

გიორგი გახარია: „ბოლო წლების განმავლობაში თავიანთი ინტერესების დასაცავად სამართალდამცავ ორგანოებს უფრო მეტი ქალი მიმართავს“

– შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ამოცანა ქალთა უფლებების დაცვა, ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენისა და გამოძიების მექანიზმების სრულყოფა და ეფექტურობის გაზრდაა.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა.

მინისტრის თქმით, მისი უწყება ქალთა მიმართ ძალადობის გამოძიებისა და გამოვლენის მიმართულებით ბევრს აკეთებს.

– ჩვენი უწყება ამ მიმართულებით ძალიან ბევრს აკეთებს. პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ამოცანა დღეს ქალთა უფლებების დაცვა და ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენის და გამოძიების მექანიზმების სრულყოფა და ეფექტურობის გაზრდაა. ასევე უნდა გითვალისწინოთ, ის კომპონენტი, რომ ბოლო წლების განმავლობაში, იმ საგანმანათლებლო პროგრამებმა რომლებიც იყო განხორციელებული, შეცვალა მიდგომა ამ მოვლენის მიმართ და უფრო მეტი ქალი მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს მათი ინტერესების დასაცავად. ეს სტატისტიკაშიც აისახა. პირველ რიგში, ჩვენ უნდა გვესმოდეს ერთი რამ, როგორც კი მიმართვიანობის რაოდენობა იზრდება, ეს გვაძლევს ჯანსაღ საშუალებას, რომ სწორი რეაგირება მოვახდინოთ, რასაც ვაკეთებთ. ასევე შეგიძლიათ შეკავების ორდერების ნახოთ, მათი რაოდენობაც გაიზარდა, – განაცხადა გახარიამ.

❖ ❖ ❖

– დოდო გუგეშაშვილის შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიება ძალზე აქტიურ ფაზაშია.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა.

შს მინისტრისგან შესაბამისი საკითხით მედიის წარმომადგენლები დაინტერესდნენ.

– არის ვერსიების გარკვეული სიმრავლე, რომლის უფრო კონკრეტულ გამოვლენებზე ახლა ვმუშაობთ, – განაცხადა გახარიამ.

როგორც ცნობილია, დოდო გუგეშაშვილსა და მის შვილს უცნობი პირი თავს დაესხა, რის შედეგადაც დოდო გუგეშაშვილი დაიჭრა, მისი შვილი, ნოდარ გუგეშაშვილი კი გარდაიცვალა.

ირაკლი ჩხვირკია და მერაბ ღოღობერიძე პატიმროებიდან გაათავისუფლეს

ცნობილი გახდა, რომ ბათუმის მოვლენების ორგანიზების ბრალდებით დაკავებული მერაბ ღოღობერიძე და ირაკლი ჩხვირკია საპატიმროდან გაათავისუფლეს.

ღოღობერიძის ადვოკატი აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი და ირაკლი ჩხვირკია უდოს კომისიამ პირობით ვადამდე ადრე გაათავისუფლა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ირაკლი ჩხვირკიასა და მერაბ ღოღობერიძეს ერთი წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიმდინარე წლის 10 იანვარს მიუსაჯა.

ე.წ. უდოს კომისიის მიერ პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებული ირაკლი ჩხვირკია თავისი უდანაშაულობის დამტკიცებისთვის ბრძოლის გაგრძელებას აპირებს. ჩხვირკიას თქმით, მას ყველანაირი მტკიცებულება აქვს იმისთვის, რომ თავისი უდანაშაულობა საქართველოს სასამართლო ინსტანციებშიც დაამტკიცოს და, თუ საჭირო იქნება – ევროსასამართლოშიც. ამასთანავე, ირაკლი ჩხვირკიას თქმით, ის პროკურატურისა და ბათუმის პოლიციის რამდენიმე თანამშრომლის წინააღმდეგ საჩივრის შეტანას აპირებს:

– ჩვენ გავასაჩივრეთ, პროკურატურამაც გაასაჩივრა. მე მაქვს ყველანაირი მტკიცებულება, რომ ჩემი უდანაშაულობა საბოლოოდ დავამტკიცო საქართველოს სასამართლო ინსტანციებში თუ ევროსასამართლოში. მე ვაპირებ, ჩემს ადვოკატთან ერთად საჩივარი შევიტანო პროკურატურისა და ბათუმის პოლიციის რამდენიმე თანამშრომლის წინააღმდეგ, რომლებმაც მოახდინეს სისხლის სამართლის მასალების ფალსიფიკაცია, – განაცხადა ირაკლი ჩხვირკიამ.

განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის ჩადენაში ბრალდებული ს.დ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავარი პროკურატურის პრესსამსახურიდან აცნობეს, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 29 ივლისს, დაახლოებით 23:50 საათზე, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი, განზრახ ორი პირის მკვლელობისთვის ნასამართლევი ს.დ. ქობულეთის რაიონის სოფელ ცეცხლაურში მდებარე სასურსათო მაღაზიაში აღკოჰოლური სასმელების შესაძენად მივიდა, რა დროსაც მაღაზიაში მყოფ გ.ს-სთან და ნ.ა-სთან სიტყვიერი შელაპარაკება მოუხდა, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

აღნიშნულით განაწყენებულმა ს.დ.-მ მაღაზია დატოვა, თავისი საცხოვრებელი სახლიდან დანა აიღო, მაღაზიაში დაბრუნდა და მოკვლის მიზნით, გ.ს-ს მუცლის არეში ჭრილობა მიაყენა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული დაზიანების შედეგად გ.ს. 31 ივლისს გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ს.დ. 2017 წლის 2 აგვისტოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მანდიკორში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი არაერთგზის) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ს.დ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 20 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

საგამოძიებო სამსახურმა არალეგალურად მოქმედი აზარტული თამაშების კლუბი გამოავლინა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ქვემო ქართლის რეგიონში არალეგალური აზარტული თამაშების კლუბი გამოავლინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ ქალაქ რუსთავში, ერთ-ერთ კომერციულ ფართში, სავალდებულო ნებართვის გარეშე ფუნქციონირებდა აზარტული თამაშების კლუბი, სადაც არალეგალურად ტარდებოდა აზარტული თამაშები – „პოკერი“ და „რულეტკა.“

როგორც ინფორმაციაშია ნათქვამი, აღნიშნული კლუბის ლეგალურად ფუნქციონირების შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტში მილიონ ლარზე მეტი თანხა შევიდოდა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1-დან 3 წლამდე ვადით.

საგადასახადო სამართალდარღვევის 654 ფაქტი გამოვლინდა

26 თებერვლიდან 4 მარტის ჩათვლით ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად საგადასახადო სამართალდარღვევის 654 ფაქტი გამოვლინდა.

კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 3,417 გადამხდელი, რის შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 90 შემთხვევა; ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 39 შემთხვევა; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 525 შემთხვევა.

გმირთა მოედანზე ტრანსგენდერი ქალი ცემეს

გმირთა მოედანზე ტრანსგენდერი ქალი, გაბრიელა, ცემეს.

მისი თქმით, მას თავს უცნობი კაცი დაესხა, რომელიც დისკრიმინაციულად მიმართავდა.

გაბრიელას დაზიანებები ნეკნების არეში აქვს მიღებული.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს.

იტალია: ვინ გახდება პრემიერი?

იტალიაში საპარლამენტო არჩევნები დასრულდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ვერც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ ვერ მიიღო საკმარისო ხმა საიმისოდ, რომ მთავრობა შექმნას. მემარცხენე პოპულისტური ორგანიზაცია „მოძრაობა ხუთი ვარსკვლავის“ ლიდერი დი მაიო აცხადებს, რომ მზადაა, მთავრობა შექმნას და სათავეში ჩაუდგეს.

– მემარჯვენე ცენტრისტულმა კოალიციამ პირველი ადგილი დაიკავა, მაგრამ ვერ მოაგროვა საკმარისი ხმები იმისთვის, რომ კაბინეტი შექმნას. მე მზად ვარ, კოალიცია შევქმნა და ახალ მთავრობას სათავეში ჩავუდგე, – ამბობს დი მაიო.

„მოძრაობა ხუთი ვარსკვლავის“ ლიდერს ძლიერი კონკურენტი ჰყავს „ჩრდილოეთის ლიგის“ ლიდერის, სალვინის, სახით, რომელსაც ასევე პრემიერობა სურს. სალვინი რუსეთისთვის სანქციების მოხსნისა და ყირიმის რუსეთის ნაწილად აღიარების მომხრეა.

დღეისთვის ყველაზე არასასურველი სცენარი „მოძრაობა ხუთი ვარსკვლავისა“ და „ჩრდილოეთის ლიგის“ ალიანსია. ამ შემთხვევაში იტალიის ხელისუფლებაში რუსეთისადმი ლოიალური ძალები მოვლენ.

ამერიკელი ექსპერტების აზრით, ახალი კოალიციის შექმნაში უდიდეს როლს „მოძრაობა ხუთი ვარსკვლავი“ ითამაშებს. პოლიტოლოგები რამდენიმე სცენარს განიხილავენ. ერთ-ერთი ასეთი სცენარია „მოძრაობა ხუთი ვარსკვლავის“ და „ჩრდილოეთის ლიგის“ შესაძლო ალიანსი, თუმცა სპეციალისტები ამას ნაკლებად რეალურად თვლიან.

მეორე სცენარია ბერლუსკონის მოძრაობის ალიანსი დემოკრატიულ პარტიასთან. ამ შემთხვევაში მწვავედ დგება საკითხი, თუ ვინ გახდება პრემიერი. ბერლუსკონის 2019 წლამდე სახელმწიფო აპარატში თანამდებობის დაკავება ეკრძალება. შესაბამისად ბერლუსკონის პარტიასა და დემოკრატიულ პარტიას შორის ალიანსის შემთხვევაში, შესაძლოა პრემიერად მატეო რენცი, ევროპარლამენტის თავმჯდომარე ანტონიო ტაიანი, ან იტალიის მოქმედი პრემიერი პაოლო ჯენტილიონი ვიხილოთ. პოლიტოლოგები ყველაზე რეალურად ჯენტილიონის კანდიდატურას მიიჩნევენ, რადგან ის როგორც მოსახლეობის, ასევე მთელი იტალიური პოლიტიკური სპექტრის პატივისცემით სარგებლობს.

დონბასში უკრაინელებმა გრუ-ს ოფიცერი პოკუსაევი დაატყვევეს

რამდენიმე დღის წინ მინსკში ხელი მოეწერა შეთანხმებას დონბასში საომარი მოქმედებების შეჩერების შესახებ. შეჩერებამ სულ ერთ დღეს გასტანა. ოკუპანტები და სეპარატისტები შეტევაზე გადავიდნენ და უკრაინელთა პოზიციების დაკავება სცადეს. განსაკუთრებით მწვავე ბრძოლები პავლოპოლთან გაიმართა. უკრაინელებმა მტრის შეტევა მოიგერიეს, ბრძოლის დროს კი გრუ-ს ოფიცერი და რუსეთის მოქალაქე პოკუსაევი დაატყვევეს.

ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის წარმომადგენლები თავდაპირველად აცხადებდნენ, რომ მათ რიგებში არავითარი პოკუსაევი არ ყოფილა და ყოველივე უკრაინელების მიერ გავრცელებული მორიგი ფეიკიაო. უტყუარი ფაქტების წინაშე სეპარატისტები იძულებულნი გახდნენ გარკვეულწილად სიმართლე ეღიარებინათ:

– დიახ, პოკუსაევი ჩვენს რიგებში მართლაც იბრძოდა, – იტყობინება სეპარატისტების საიტი „რუსსკაია ვესნა“.

ამჯერად სეპარატისტებმა დაიწყეს მტკიცება, რომ პოკუსაევი ფსიქიკურად არამდგრადი და პედოფილი იყო და ამის გამო დონბასელი მოლაშქრეების რიგებიდან გაეძევეს.

– მეტიც, ეს ტიპი უკრაინის უშიშროების სამსახურის მიერ იყო მოსყიდული, – ამტკიცებს „რუსსკაია ვესნა“.

პავლოპოლთან შეტაკებას გაზპრომის თავკაცის, მილერის, განცხადებაც დაემთხვა. მან განაცხადა, რომ უკრაინელებს კონტრაქტის გაწყვეტის შესახებ ოფიციალურად შეატყობინეს. მილერმა აღნიშნა, რომ გაზპრომი შეწყვეტს უკრაინისთვის გაზის მიწოდებას. ამას უკრაინელების მხრივ მწვავე რეაქცია მოჰყვა:

– ჩვენ გაგვაჩნია ყველა ბერკეტი, რომ ვაიძულოთ რუსები, სტოკჰოლმის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება შეასრულონ, – განაცხადა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა კლიმკინმა.

გრძელდება აჟიოტაჟი უჟგოროდში უნგრული კულტურის ცენტრზე მომხდარი თავდასხმის გამო. უკრაინისა და პოლონეთის პოლიციამ ამ თავდასხმის მონაწილეთა დაკავება შეძლო. ყველა მათგანი პოლონური ულტრა-ნაციონალისტური და პრორუსული ორგანიზაციის წევრი აღმოჩნდა. უკრაინის პარლამენტის სპიკერმა ირინა გერაშჩენკომ მომხდარს რუსეთის მიერ ორგანიზებული პროვოკაცია უწოდა.

– რუსეთს აგენტურა ყველგან ჰყავს. ის, რაც უჟგოროდში მოხდა, რუსეთის სპეც-სამსახურების მიერაა ინსპირირებული, – ამტკიცებს გერაშჩენკო.

გრუ-ს ყოფილი ოფიცერი ბრიტანეთში მოწამლეს

გრუ-ს ყოფილი ოფიცერი სერგეი სკრიპალი ბრიტანეთის ქალაქ სოლსბერიში ცხოვრობდა. რუსეთში მას სახელმწიფოს ღალატისთვის დაუსწრებლად სიკვდილი ჰქონდა მისჯილი. ანაზდად სკრიპალი ცუდად გახდა. არსებობს ვერსია, რომ ის მოწამლეს.

სკრიპალს იგივე სიმპტომები აქვს, რაც ფსბ-ს ყოფილ ოფიცერ ლიტვინენკოს ჰქონდა.

აშშ-ის საელჩო თურქეთში დროებით დაიხურა

აშშ-ის საელჩო ანკარაში დროებით დაიხურა. მიზეზი უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. საელჩოს თანამშრომლები თავს საკმაოდ დაცულად არ გრძნობენ.

ვიზების გაცემა დროებით შეჩერებულია.

ამერიკელი დიპლომატები აცხადებენ, რომ მალე საელჩო მუშაობას ძველ რეჟიმში შეუდგება, თუმცა ზუსტი თარიღი არ სახელდება.

სირიაში რუსული ან-26 ჩამოვარდა

32 ადამიანი დაიღუპა

გუშინ, 6 მარტს, სირიაში რუსული სატრანსპორტო თვითმფრინავი ან-26 ჩამოვარდა.

ინციდენტი მოსკოვის დროით 3 საათზე ხმეიმიმის რუსულ სამხედრო ბაზაზე მოხდა.

ან-26, რომლის ბორტზეც 26 მგზავრი და ეკიპაჟის 6 წევრი იმყოფებოდა, ბაზაზე ჯდებოდა, როდესაც კატასტროფა მოუვიდა. ის ასაფრენი ბილიკიდან 500 მეტრში დაეცა მიწაზე.

ბორტზე მყოფი 32-ვე ადამიანი დაიღუპა.

ტრამპი ნეტანიაჰუს შეხვდა

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ისრაელის პრემიერ ნეტანიაჰუს შეხვდა. მოლაპარაკებების ძირითადი თემა ირანის მხრიდან მზარდი საფრთხე იყო.

ტრამპმა ისრაელის პრემიერს განუცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობით შეშფოთებულია და ხაზი გაუსვა იმას, რომ ირანის შეჩერება აუცილებელია.

ისრაელის პრემიერმა გონივრული უწოდა ტრამპის წინადადებას, რომ ბირთვული შეთანხმება ირანთან გადასინჯულ იქნას. ტრამპმა ამაზე მიუგო, რომ ამ საკითხში ამერიკას ჯერჯერობით მხარს არ უჭერენ რუსეთი, ჩინეთი, გერმანია და საფრანგეთი.

– მიუხედავად ამისა, ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რათა ბირთვული შეთანხება გადახედულ იქნას, – თქვა ტრამპმა.

ნეტანიაჰუმ ტრამპი დაპატიჟა იერუსალიმში ამერიკის საელჩოს გახსნის ცერემონიალზე. ტრამპმა მადლობა გადაუხადა.

– შესაძლოა, ჩამოვიდე, – თქვა აშშ-ის პრეზიდენტმა.

რუსეთში მსოფლიო ინტერნეტისგან გათიშვისთვის ემზადებიან

რუსეთში მსოფლიო ინტერნეტისგან გათიშვისათვის ემზადებიან. ამის თაობაზე პრეზიდენტ პუტინის მრჩეველმა გერმან კლიმენკომ განაცხადა.

– ამჟამინდელი მსოფლიო ინტერნეტი ამერიკელთა კონტროლქვეშ იმყოფება. მისი მეშვეობით ვაშინგტონისთვის ხელსაყრელი ინფორმაციები ვრცელდება, – ამბობს კლიმენკო.

ამავე დროს, პუტინის მრჩეველმა აღნიშნა, რომ მსოფლიო ინტერნეტისგან გათიშვის პროცედურა გარკვეულ დროს საჭიროებს.

– ტექნიკურად საამისოდ უკვე მზადა ვართ, თუმცა მხოლოდ ეს როდი კმარა, – აცხადებს კლიმენკო.

პუტინის მრჩეველმა უარყო ბრალდება იმის თაობაზე, რომ რუსეთში თავისუფალი სიტყვა იზღუდება და ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა ფერხდება.

– ინტერნეტის რეგულირების პრაქტიკა მთელ მსოფლიოშია და ამ მხრივ არც რუსეთი იქნება გამონაკლისი, – ამბობს კლიმენკო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივიუძლურება(იმპოტენცია),პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკური), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევადამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

უხვგოლიანი ტურის დასასრული

დინამო-ჩუსთავი 1:2

თბილისი. დინამო არენა

0:1 გაბულოვი (67), 1:1 ზივზივაძე (84ბ), 1:2 მიქელთაძე (86ბ)

დინამო: ბულისკერია, რუხაია, თოთაძე, კობოური, ხარაბაძე, ქარდავა, ივანისენია (კუცია 81), ივანიშვილი, კიტეიშვილი, შულაია, ზივზივაძე

რუსთავი: რევიშვილი, გეგეჭკორი, ცხოვრებოვი, კობახიძე (ცარიკაევი 83), ენდელაძე, ფონიავა, გაბულოვი, ჩოგაძე (გორელიშვილი 49), მიქელთაძე, კვირკვია, ბარაბაძე (კლიმიაშვილი 59)

დინამო თითქოს ფავორიტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ წინასასეზონო შეკრებებისა და გუნდის კომპლექტაციის შემდეგ, ბევრი ვარაუდობდა, რომ თბილისელებს მოგება გაუჭირდებოდათ. ასეც მოხდა – დინამომ 3 ქულა მეტოქეს გაატანა.

მატჩი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. პირველ ტაიმში დინამოელები უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა მასპინძლებმა ანგარიშში ამის ასახვა ვერ შეძლეს. მე-12 წუთზე დინამოელთა ახალწვეული გუჯა რუხაია შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, დაარტყა კიდეც, თუმცა ოდენ კუთხურს გამორჩა. ხუთიოდე წუთში იმავე სიტუაციიდან ბუდუ ზივზივაძე ძლიერი დარტყმით ასრულებდა შეტევას, მაგრამ არაზუსტად. კუთხურის შემდეგ ოთარ კიტეიშვილი თავით გზავნიდა ბურთს, სიტუაცია კი რუსთაველთა მეკარემ განმუხტა. ნუკრი რევიშვილმა ტაიმის დასრულებამდე ორიოდე წუთით ადრე მიჯრით ორჯერ იხსნა თავისი კარი: ჯერ აკაკი შულაიას არ გამოუვიდა დარტყმა, დამატებაზე კი ბუდუ ზივზივაძემ ვერ ივარგა.

მეორე ტაიმი დინამოელებმა ისევ შეტევებით განაახლეს და დებიუტშივე ზივზივაძის დარტყმა და ისევ რევიშვილი. 55-ე წუთზე დედაქალაქელთა შეტევას კიტეიშვილი თავური დარტყმით ასრულებდა, მაგრამ ისევ უიღბლობა და ბურთი რუსთაველთა კარის ხარიხამ მოიგერია.

მალევე სტუმრებმაც შექმნეს საჩიფათო მომენტი, რევაზ ბარაბაძის დარტყმული დემეტრე ბულისკერიამ კუთხურზე მოიგერია. 67-ე წუთზე კი რუსთაველთა კონტრშეტევა გეორგი გაბულოვის გოლით დასრულდა – რუსთაველთა ლეგიონერმა მათე კვირკვიას ჩაწოდებულს შეაგება თავი.

დინამოელებმა უმატეს შეტევებს და 84-ე წუთზე ზივზივაძეზე მეტოქის საჯარიმოში კვირკვია დაჯარიმდა. თერთმეტმეტრიანი დინამოს ფორვარდმა ზუსტად შეასრულა და სტატუს ქვო აღადგინდა, მაგრამ ორიოდე წუთში პენალტი უკვე დინამოს კარში დაინიშნა. ბექა მიქელთაძემ კი გატანილ გოლთან ერთად მატჩის საბოლოო შედეგი 1:2 დააფიქსირა.

საბუჩთალო-სიონი 3:1

თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 სიხარულია (16), 1:1 გრიგალაშვილი (56), 2:1, 3:1 ვოლკოვი (80, 90)

საბურთალო: კუპატაძე, იაშვილი (ჩაბრაძე 72), მარგველაშვილი, ნადარაია, გრიგალაშვილი, მამუჩაშვილი, კოხრეიძე, ტატანაშვილი (ვოლკოვი 57) , გორგიაშვილი, გონსალვეში, დიასამიძე (გვარაძე 57)

სიონი: ზარქუა , თომაშვილი, ქიქავა (მუჯრიშვილი 85), ნოზაძე, კოშკაძე (მიქაბერიძე 57), გაფრინდაშვილი, მინდორაშვილი, სიხარულია, დვალი, სამუშია (დათუნაიშვილი 54)

გაძევება: ზარქუა (83)

ეროვნულ ლიგაში დაგეგმილი 3 ქულა მოიპოვა დედაქალაქურმა საბურთალომ, რომელმაც ბოლნისის სიონს უმასპინძლა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებმა პირველი ტაიმი წააგეს, მეტოქე საბოლოოდ 3:1 დაამარცხეს.

მთელი მატჩის განმავლობაში საბურთალოელები დომინირებდნენ. მათ მეტოქის კართან რამდენჯერმე შექმნეს სახიფათო მომენტი. გატანილი გოლების გარდა, თბილისელებს კარის აღების კარგი შესაძლებლობები ჰქონდათ, მაგრამ მეტოქე გუნდის მეკარე თორნიკე ზარქუა ჩინებულად თამაშობდა. მატჩის დებიუტში თამაშში ჩართვა ლაზარე კუპატაძესაც მოუხდა, რომელმაც ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი, კუთხურზე მოიგერია. ისე მოხდა, რომ მე-16 წუთზე ბოლნისელები დაწინაურდნენ – ალექსანდრე კოშკაძის კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ თავით ზვიად სიხარულია გამოეხმაურა და გახსნა ანგარიში.

მიუხედავად საბურთალოს დიდი მცდელობისა, პირველ ნახევარში მდგომარეობა არ შეცვლილა.

მეორე ტაიმში, ისევე, როგორც პირველში, სიონს აქცენტი კარის უსაფრთხოებაზე ჰქონდა გადატანილი, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო. 56-ე წუთზე კი ვაგნერმა სწრაფად გაუთამაშა კუთხური იაშვილს, ამ უკანასკნელის საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს თედორე გრიგალაშვილი გამოეხმაურა და თავით გამთანაბრებელი გოლი გაიტანა.

საბურთალოს მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჭიაბრიშვილმა ცვლილებებს მიმართა – დიმიტრი ტატანაშვილისა და გეგა დიასამიძის ნაცვლად, მოედანზე ბექა გვარაძე და დავით ვოლკოვი შეუშვა. სწორედ, ვოლკოვმა გაიყვანა წინ თავისიანები, როდესაც ახლო მანძილიდან თავით მოათავსა ბურთი მოწინააღმდეგის კარში. ხოლო მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე, ვაგნერმა კარგი გადაცემით მეკარეს პირისპირ შეატოვა ვოლკოვი, ამ უკანასკნელმა ბურთი თავზე გადაუგდო მეკარეს და მერე არც გატანა გასჭირვებია.

ვოლკოვის გოლებს შორის მოედნიდან ბოლნისელთა მეკარე ზარქუა გააძევეს, რომელმაც კოხრეიძის საგოლე შეტევა ჩაშალა.

ლოკომოტივი-სამტრედია 1:2

თბილისი. მიხეილ მესხი 2

0:1 ერისთავი (13), 1:1 შონია (51პ), 1:2 ოლაიტანი (69)

ლოკომოტივი: თევდორაძე, ნ.ჭანტურია, ჯიქია (კობახიძე 75), შონია, დავითაშვილი, კიკნაძე (გავაშელიშვილი 66), ხიდეშელი, არველაძე (კიკაბიძე 84), გაბაძე, უბილავა

სამტრედია: მიგინეიშვილი, ლობჟანიძე, განუგრავა (ვეილი 67), დაუშვილი, გი, ერისთავი (კირკიტაძე 73), ნდონგი, ბაჩიაშვილი, ჩაჩუა (ახალაძე 67), ფატიჩი, ოლაიტანი

სამტრედია წელს ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტი იქნება. სტუმრებმა მაღალორგანიზებულად ჩაატარეს შეხვედრა და მხოლოდ რამდენიმე წუთით გაეთიშნენ თამაშს, როდესაც გოლიც მიიღეს. უჩა სოსიაშვილის გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ლეგიონერებმა და მითი, რომ უცხოეთიდან ქართველებზე მაღალი კლასის ფეხბურთელების მოყვანა აბსურდია, დაანგრიეს.

სტუმრებმა ანგარიშის გახსნა მე-13 წუთზე შეძლეს. ლოკომოტივი საჯარიმოს ხაზთან, გიორგი კიკნაძისა და ვაკო ბაჩიაშვილის ორთაბრძოლის დროს, მთავარმა მსაჯმა თამაშის წესების დარღვევა დააფიქსირა. ჯარიმა ზუსტად გიორგი ერისთავმა შეასრულა და საკუთარი გუნდი დააწინაურა.

მეორე ტაიმის დებიუტში, ანგარიშის გათანაბრება ზურიკო დავითაშვილს შეეძლო, როდესაც მეტოქის საჯარიმოში კიკნაძესთან ბურთი კარგად გაითამაშა, ლოკოს 10-იანის დარტყმა ომარ მიგინეიშვილმა კუთხურზე მოიგერია.

50-ე წუთზე ლოკომ წონასწორობა აღადგინა. ვატო არველაძეზე, თამაშის წესების დარღვევისთვის, გიორგი ვადაჭკორიამ თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც თეიმურაზ შონიამ ზუსტად შეასრულა.

ლოკომოტივს წინ გასვლა 57-ე წუთზე შეეძლო. გიორგი გაბაძის ჩაწოდების შემდეგ, ვატო არველაძის თავური დარტყმა ომარ მიგინეიშვილმა კუთხურზე მოიგერია. გატანის კარგი შანსი ჰქონდა დავით ჯიქიასაც, რომლის შორეული დარტყმული მიგინეიშვილმა ისევ კუთხურზე მოიგერია.

69-ე წუთზე, სტუმრებმა გამარჯვების გოლი გაიტანეს. გიორგი ახალაძის საგოლე პასის შემდეგ, თავი მაიკლ ოლაიტანმა გამოიჩინა და მატჩის საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

სტუმრებს, ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ, თუმცა ივან ფატიჩსა და მაიკლ ოლაიტანს რევაზ თევდორაძემ აჯობა და ორივე შემთხვევაში, ბურთი კუთხურზე მოიგერია.

დე ხეა ყველაზე მაღალანაზღაურებადი მეკარე ხდება

მანჩესტერ იუნაიტედის გულშემატკივრებისთვის პრესაში სასიამოვნო ინფორმაცია გავრცელდა. კერძოდ, „წითელი ეშმაკების“ ესპანელი მეკარე კლუბთან ახალი კონტრაქტის პირობებზე შეთანხმდა და ახალი კონტრაქტის პირობები მისთვის სასიამოვნო აღმოჩნდა, რაც იმის მომასწავებელია, რომ დე ხეა წლების განმავლობაში „ოლდ ტრაფორდზე“ დარჩება.

აქამდე გაურკვეველი ფინანსური დეტალები რჩებოდა, რაც მეკარის მსურველ ჩასაფრებულ გუნდის წისქვილზე ასხამდა წყალს. მისი შეძენის ფავორიტი გუნდი მადრიდის რეალი გახლდათ. ფლორენტინო პერესი უკვე რამდენიმე სეზონია, მეკარის თავის კლუბში გადაყვანას ცდილობს, თუმცა უშედეგოდ. როგორც ჩანს, მას ეს ტრანსფერი კიდევ დიდი ხნის მანძილზე აუსრულებელი დარჩება.

როგორც ბრიტანული გამოცემები იუწყებიან, იუნაიტედი მზად არის, დე ხეას კვირაში 350.000 გირვანქა სტერლინგი გადაუხადოს, რაც 400.000 ევროს ტოლფასი თანხაა. აქედან გამომდინარე, იუნაიტედი დე ხეას მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მეკარის სტატუსს მიანიჭებს.

კიდევ ერთი სიახლე მანჩესტერის გულშემატკივრებისთვის: ის ფაქტი, რომ იუნაიტედს ზაფხულში ნახევარდაცვისა და დაცვის მნიშვნელოვნად გაძლიერება სურს, უკვე ცნობილი ფაქტია. ასევე ცნობილია ისიც, რომ მოურინიოს სამიზნე ბარსელონას ფრანგი ფეხბურთელი სამუელ უმტიტია.



„წითელი ეშმაკების“ მესვეურები, აქედანვე აქტიურად მუშაობენ ფეხბურთელის შესაძლო ტრანსფერზე. ამას მოწმობს გავრცელებული ცნობა, რომლის თანახმადაც, ბარსას მცველმა მომავალი კლუბის ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის პირადი დეტალები უკვე შეათანხმა.

ტრანსფერის გაოფიციალურება ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე მოხდება. 24 წლის ფეხბურთელის შეძენის სურვილი თავად ჟოზე მოურინიომ გამოთქვა.

რაც შეეხება სატრანსფერო ღირებულებას, ხოსეპ მარია ბართომეუმ უმტიტის სანაცვლოდ 60 მილიონი ევრო მოითხოვა. ასე რომ, თუ მედიაში გავრცელებულ ცნობებს დავუჯერებთ, უმტიტი ზაფხულში იუნაიტედის ღირსებას დაიცავს.

ბითაძე ევროპაში მესამე ტალანტია

პოპულარულმა საკალათბურთო პორტალმა ეუროჰოპეს-მა ევროპელი ყველაზე პერსპექტიული კალათბურთელების სია განაახლა. სასიამოვნო ინფორმაცია ის არის, რომ 1999-წლიანთა კლასიფიკაციაში წლის გოგა ბითაძე მე-3 ადგილზე იმყოფება.

ბითაძე, რომელიც სერბული მეგა ლეკსის ღირსებას იცავს ადრიატიკის ლიგაში ჩინებული სტატისტიკა აქვს: 22.5 წუთი, 11.5 ქულა, 7.0 მოხსნა, 2.1 დაფარება.

რეიტინგში ბითაძეზე წინ ევროპული კალათბურთის უმთავრესი ვარსკვლავი – სლოვენიელი ლუკა დონჩიჩი (რეალი, ესპანეთი) და ბოსნია-ჰერცეგოვინის წარმომადგენელი ძანან მუსა (ცედევიტა, ხორვატია) არიან, ხოლო ჩვენებურის კვალდაკვალ – ფრანგი ჯეილენ ჰოარდი (ვესლეან კრისტიან აკადემი, აშშ) და მონტენეგროელი მარკო სიმონოვიჩი (სიენა, იტალია) მოდიან.

ამასობაში ბითაძის მეგა ბიმაქსი ადრიატიკის ლიგის ხორვატიულ წარმომადგენელ ზადარს ესტუმრა და ქართველი ცენტრის შედეგიანობის მიუხედავად, მარცხი იწვნია. სერბული კლუბი ბოლო პერიოდში 10 ქულით – 79:69 იგებდა, თუმცა მომდევნო 7-წუთიანი მონაკვეთი 0:17 დათმო და ცხადია, წაგებასაც ვერ ასცდა – 91:95.

ბითაძე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ქართველმა ცენტრმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 24 წუთში 11 ქულა, 8 მოხსნა, 5 დაფარება და 3 ჩაჭრა ჰქონდა. მან 9-დან 4 ორქულიანი და 2-დან 1 სამიანი ჩააგდო.

7 მოგებითა და 14 მარცხით მეგა ბიმაქსი ადრიატიკის ლიგის 12-გუნდიან ცხრილში მე-9 ადგილზეა. ბითაძის გუნდი მომდევნო მატჩს ბოსნიური იგოკეას წინააღმდეგ გამართავს.

ბუკინისტი შეისყიდის

XVIII-XIX საუკუნის ძველებურ წიგნებს 1500 ლარად

ხელნაწერებს, გრავიურებს, ჟურნალებს, პლაკატებს, ბარათებს, საბავშვო წიგნებს, 1945 წლამდე საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუებს 200 ლარად, ასევე ვერცხლის ჟურჟელს.

591-75 35 38

შედეგები

5 მარტი

ინგლისი. პრემიერლიგა

კრ.პალასი-მანჩესტერი 2:3

სატელევიზიო ცხრილი:

1.სიტი	29	25	3	1	83-20	78
2.მანჩესტერი	29	19	5	5	56-22	62
3.ლივერპული	29	17	9	3	67-32	60
4.ტოტენჰემი	29	17	7	5	55-24	58
5.ჩელსი	29	16	5	8	50-26	53
6.არსენალი	29	13	6	10	52-41	45
7.ბარნლი	29	10	10	9	24-26	40
8.ლესტერი	29	9	10	10	41-42	37
9.უოტფორდი	29	10	6	13	39-47	36
10.ბრაიტონი	29	8	10	11	28-38	34
11.ევერტონი	29	9	7	13	33-49	34
12.ბორნმუთი	29	8	9	12	34-44	33
13.სუონსი	29	8	6	15	25-42	30
14.ვესტ ჰემი	29	7	9	13	36-54	30
15.ჰადერსფილდი	29	8	6	15	25-50	30
16.ნიუკასლი	29	7	8	14	27-40	29
17.საუთჰემპტონი	29	5	13	11	29-41	28
18.კრ.პალასი	29	6	9	14	27-46	27
19.სტოკი	29	6	9	14	28-54	27
20.ვესტ ბრომვიჩი	29	3	11	15	22-43	20

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

სელტა-ლას პალმასი 2:1

სატელევიზიო ცხრილი:

1.ბარსელონა	27	21	6	0	70-13	69
2.ატლეტიკო	27	18	7	2	45-12	61
3.რეალი	27	16	6	5	65-29	54
4.ვალენსია	27	16	5	6	52-30	53
5.სევილია	27	14	3	10	36-40	45
6.ვილიარეალი	27	12	5	10	36-32	41
7.ხირონა	27	11	7	9	38-36	40
8.ეიბარი	27	11	6	10	34-39	39
9.სელტა	27	11	5	11	45-39	38
10.ბეტისი	27	11	4	12	43-52	37
11.ხეტაფე	27	9	9	9	33-25	36
12.სოსიედადი	27	9	6	12	49-48	33
13.ლეგანესი	27	9	6	12	23-32	33
14.ბილბაო	27	7	11	9	27-31	32
15.ესპანიოლი	27	7	11	9	24-33	32
16.ალავესი	27	10	1	16	24-39	31
17.ლევანტე	27	3	12	12	22-42	21
18.ლას პალმასი	27	5	5	17	20-55	20
19.დეპორტივო	27	4	7	16	25-57	19
20.მალაგა	27	3	4	20	16-43	13

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ინგოლშტადი-ბოხუმი 0:1

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლორიანი-ლე ავრი 1:0

ჰოლანდია. ჰიმეიჩა ლიგა

ავიში-პორტიმორენსე 3:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

აპოლონი-პანეთოლიკოსი 2:1

თურქეთი. სუპერლიგა

ტრაბზონი-ბეშიქთაში 0:2

ბელგია. სუპერლიგა

იაგელონია-ვისლა 2:0

დანია. სუპერლიგა

ოლბორგი-ჰორსენსი 1:1

სილკებორგი-მიდტიულანდი 1:2

მოამზადა მიხეილ ყორეულიანმა

პარალიმპიელები პონჩანში გაემგზავრნენ

9-18 მარტს პიონჩანში ზამთრის პარალიმპიური თამაშები გაიმართება, სადაც პირველად არსებობის ისტორიაში საქართველოს პარალიმპიური დელეგაციაც მიიღებს მონაწილეობას.

საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, მოადგილე შალვა გოგოლაძესთან ერთად, თბილისის პარაცენტრში ქართველ პარალიმპიელებს და საქართველოს პარალიმპიური დელეგაციის წევრებს შეხვდა.

საქართველოს ზამთრის პარალიმპიური თამაშების 2 ლიცენზია აქვს მოპოვებული. სამხრეთ კორეაში საქართველოს ღირსებას თემურ დადიანი და ნინო საბაშვილი დაიცავენ, რომლებიც მრავალი ტიტულის მქონე პარასპორტსმენები არიან. მათი მთავარი სფერო მკლავჭიდია, თუმცა, ამჯერად ისინი მონაწილეობას თხილამურებით კროსში მიიღებენ.

მიხეილ გიორგაძე:

– მივესალმები ჩვენს პარალიმპიელებს, საამაყო სპორტსმენებს, რომლებმაც ძალიან დიდი შრომა გასწიეს საიმისოდ, რომ პარალიმპიური თამაშების ლიცენზიები მოპოვებინათ. პარალიმპიურ სპორტში მოპოვებული წარმატება, გაათმაგებულ ძალისხმევას და შემართებას მოითხოვს, ამიტომაც თქვენი თითოეული შედეგი და წარმატება საერთაშორისო ასპარეზზე ასმაგად დასაფასებელია. უღრმესი მადლობა დელეგაციის თითოეულ წევრს გაწეული შრომისთვის, წარმატებებს გისურვებთ პიონჩანგში, სადაც საქართველოს ღირსებას დაიცავთ. მინდა კიდევე ერთხელ დაგიდასტუროთ ჩემი პატივისცემა, მოგეხსენებათ, რომ პარალიმპიური სპორტი იყო და არის სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი, სრულ მხარდაჭერას გპირდებით.

პარალიმპიური თამაშები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ვეტერანი სამხედროებისთვის შეიქმნა და პირველად 1960 წელს ზაფხულის თამაშებით გაიხსნა, ზამთრის თამაშები კი 16 წლის შემდეგ, 1976 წელს გაიმართა.

დონალდ ტრამპი დიეტას იცავს

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი დროებით დიეტაზე დაჯდა. ამ ინფორმაციას ქვეყნის ხელმძღვანელთან დაახლოებულ პირებზე დაყრდნობით ერთ-ერთი ადგილობრივი სააგენტო ავრცელებს.

სააგენტოს მონაცემებით, იანვარში თეთრი სახლის მთავარმა ექიმმა რონი ჯექსონმა ტრამპს გასუქების დაწყების სიმპტომები გამოუვლინა. 190 სანტიმეტრი სიმაღლის პრეზიდენტის წონამ 108,4 კილოგრამი შეადგინა. ტრამპს ურჩიეს შეამციროს ცხიმებისა და ნახშირწყლების მიღება, ასევე უფრო ხშირად ივარჯიშოს. მსგავსი რჩევების მიცემა ამერიკის ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებისთვისაცაა დაგეგმილი.

სახელმწიფოს მეთაური უახლეს დროში საკუთარ რაციონში შეიტანს წვნიან კერძებს, სალათებს და თევზს. უკვე რამდენიმე კვირაა ტრამპი ბურგერებით მოსაუზმე აღარავის შეუნიშნავს.

ამერიკელმა მაისისთვის 30 ათასი ბიგ-მაკის შეჭმის პირობა დადო

ამერიკელი დონ გორსკე, რომელიც ბიგ-მაკების მიმართ თავისი სიყვარულითაა ცნობილი, გეგმავს, რომ მიმდინარე წლის მაისისთვის 30 ათასი ცალი ეს სენდვიჩი შეჭამოს.

– რეკორდი დამყარდება გინესით ან მის გარეშე, – ამტკიცებს ამერიკელი, ბიგ-მაკი ჩემი უსაყვარლესი საჭმელია, ამიტომ, მე უბრალოდ, მათ ყოველდღე შევჭამ, ისე, როგორც ამას ადრე ვაკეთებდი.

ჩვეულებრივ გორსკე კვირაში 14 ბიგ-მაკს ჭამს. მისი გამოთვლით, ბოლო 44 წლის განმავლობაში ალბათ რვა დღეზე მეტი არ იქნება ისეთი დღე, როდესაც არც ერთი სენდვიჩი არ ჰქონდეს ნაჭამი. როგორც წესი, ის მათ წინასწარ იმარაგებს, ყიდულობს „მაკდონალდსში“, შემდეგ კი საჭიროებისდა მიხედვით მიკროტალღურ ღუმელში აცხელებს.

დავიდე ასტორის ხელფასს ოჯახი მიიღებს

ბოლო დღეებია იტალიური და მსოფლიო ფეხბურთი დავიდე ასტორის მოულოდნელმა გარდაცვალებამ შოკში ჩააგდო. ფლორენციის ფიორენტინას 31 წლის კაპიტანი 4 მარტს სასტუმროს ნომერში გარდაცვლილი ნახეს.

ფლორენციული კლუბი იმ დღეს უდინეზეს უნდა შეხვედროდა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ამ ტრაგედიის შემდეგ სერია ა-ს ტურის ყველა მატჩი გადადო.

ფიორენტინას ცენტრალური მცველის გარდაცვალების მიზეზი გულის შეტევა გახდა. ასტორის გული ძილში, ჯერაც დაუდგენელი მიზეზით გაუჩერდა.

ფლორენციული კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ასტორის ხელფასს მისი ოჯახი მიიღებს. კლუბის პრეზიდენტის, ანდრეა დელა ვალეს თქმით, მას „იებთან“ ახალი 4-წლიანი კონტრაქტი უკვე შეთანხმებული ჰქონდა, რომელიც 5 მარტს უნდა გაეფორმებინა.

ახლა ამ თანხას მისი მეუღლე და შვილი მიიღებენ. ასტორის ხელფასი ყოველწლიურად 1,15 მილიონი ევრო იყო.

კენიელმა ექიმებმა თავის ქალა შეცდომით სხვა ავადმყოფს ახადეს

კენიის საავადმყოფოში ქირურგებმა შეცდომით თავის ტვინზე ოპერაცია სხვა ავადმყოფს გაუკეთეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

საოპერაციო მაგიდაზე შემთხვევით აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც საავადმყოფოში სისხლჩაქცევის გამო აღმოჩნდა და ქირურგიულ ჩარევას არ საჭიროებდა. ის შეცდომით მიიჩნიეს ავადმყოფად, რომელსაც ტვინში თრომბი ჰქონდა. ექიმები მას ოპერაციას რამდენიმე საათის განმავლობაში უკეთებდნენ და შეცდომას მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, როდესაც მის ტვინში თრომბი ვერ იპოვეს.

საავადმყოფოს ხელმძღვანელების მტკიცებით, ნაოპერაციები ავადმყოფი გამოჯანმრთელების გზაზე იმყოფება. იმ ავადმყოფის მდგომარეობა კი, რომელსაც თრომბის ამოკვეთა სჭირდებოდა, ასევე უმჯობესდება, თუმცა მას ოპერაციის გაკეთება მაინც დასჭირდება.

ინციდენტის შემდეგ დროებით სამსახურს ჩამოაცილეს ნეიროქირურგი, ანესთეზიოლოგი და ორი ექთანი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბუსკეტსი ლა ლიგის ხელმძღვანელობას აკრიტიკებს

ბარსელონას ერთ-ერთი ლიდერი სერხიო ბუსკეტსი ლა ლიგის ხელმძღვანელობას მოუწოდებს, ტურნირის კალენდრის დაგეგმვის დროს უფრო მეტი პროფესიონალიზმი გამოიჩინონ.

სერხიო ბუსკეტსი:

– ბარსელონას, ლას პალმასში და უკან ხანგრძლივი ფრენის შემდეგ, ატლეტიკოსთან თამაშის წინ უფრო ნაკლები მოსამზადებელი დრო ჰქონდა, ვიდრე მეტოქეს. ბარსელონასაც და ატლეტიკოსაც ოთხშაბათს თამაში შეეძლოთ, მაგრამ მათ ჩვენ ხუთშაბათს გვათამაშეს. ბარსელონაში დაბრუნებულებს, შეუსვენებლად ვარჯიში მოგვიხდა.

თუ მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში ვთამაშობთ, ხელმძღვანელობამაც საუკეთესო გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს. ეს თავის მართლება არაა. ეს რეალობაა. არ მიყვარს, როდესაც ვაგებთ და ვწუწუნებ. დღეს ჩვენ მოვიგეთ, რის გამოც, ამ უფლებით სარგებლობას ვაპირებ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

7 მარტისთვის

ვერძი – დღეს ზედმეტი აქტიურობა, სარისკო ოპერაციებში მონაწილეობა დაუშვებელია. პასუხისმგებლობას ნუ გაექცევით. **ჯარო** – დღის პირველ ნახევარში თავშეკავება გმართებთ, ცდუნებას ნუ აჰყვებით. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. **ტყუპები** – ახალი კონტაქტებისათვის შეუფერებელი დღეა. ავანტიურაში არ ჩაერთოთ. **კირჩხიბი** – ტყუილუბრალოდ ნერვებს ნუ აიშლით. ნებისმიერ სიტუაციაში იუმორი დაგეხმარებათ. **ლომი** – ვითარება გაიძულებთ, თამამად იმოქმედოთ, თუმცა შეცდომისგან თავს ვერ დაიზღვევთ. **ქალწული** – პლანეტები გმფარველობენ. მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. **სასწორი** – წინააღმდეგობრივი დღეა. შესაძლოა მოგატყუონ. ილუზიებს არ აჰყვეთ. **ღრიანკალი** – საყიდლებზე წასასვლელად იღბლიანი პერიოდია. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. ნათესავებთან ურთიერთობა უმჯობესდება. **მშვილდოსანი** – ნუ იუხეშებთ, თავი შეიკავეთ ემოციების გამოვლენისაგან. თავმდაბლობა დღის დევიზია. **თხის რქა** – ფინანსური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. საღამოს მოსალოდნელია უმნიშვნელო დეპრესია. **მერწყული** – დღეს გაცნობილი ადამიანი, სავარაუდოდ, თქვენს ცხოვრებაში საგრძნობ ცვლილებას შეიტანს. ახალი იდეები არ დააყოვნებს. **თევზები** – საკუთარი თვალსაზრისის დაცვა არ გაგიჭირდებათ. შესაძლოა ძველ მეგობართან კავშირი აღადგინოთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კორეული გემთმშენებელი კონცერნი; 2. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი, კომიკოსი; 3. მუდმივი სიდიდე მათემატიკაში; 4. ჰაერში ასაშვები მეტეოროლოგიური ბურთი; 5. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 8. ესპანური წესით დამზადებული ღორის შაშხი; 9. უზადო ბრილიანტი; 12. ყვავის ბარტყი; 14. ისტორიული ციხე-ქალაქი მცხეთის მახლობლად; 16. დიპლომატიური წარმომადგენელი.

თარაზულად: 1. მთიანეთი ავღანეთში; 6. ფანქრების მწარმოებელი ჩეხური ფირმა; 7. ძველი ქართული დამწერლობა; 9. გერმანული იმპერია; 10. წყალქვეშა კლდე; 11. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 13. კანიონი ხონის რაიონში; 15. შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ეგრისის სამეფოს ნაწილი; 17. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 18. შიშით გამოწვეული მღელვარება; 19. ნაკურთხი წყალი; 20. ოსტატის მოწაფე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კოპოლა; 2. თუნი; 3. ჩატურანგა; 4. ფლეში; 5. კონდორი; 8. დუქანი; 9. მიხაილოვო; 12. რუტერი; 14. რინიტი; 16. ალილო.

თარაზულად: 1. კართოტეკა; 6. ვატერლოო; 7. პრუდონი; 9. მედუზა; 10. „ფინო“; 11. კარწახი; 13. დირსი; 15. სუმიდა; 17. თარხანი; 18. ველენი; 19. „ბასტია“; 20. „ბომონდი“.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰუმუსი; 2. კივი; 3. არბიტრაჟი; 4. ენდრო; 5. შინშილა; 8. თუთუნი; 9. ბალახვანი; 12. ფესახი; 14. თაბახი; 16. იჯარა.

თარაზულად: 1. „ჰეინიკენი“; 6. კრიჟანგი; 7. მზითევი; 9. ბრაილი; 10. ხოტი; 11. „სუფრული“; 13. „თეთრა“; 15. თეზისი; 17. ჭიდაობა; 18. კაპელა; 19. ბრეხტი; 20. ბარიერი.

ჯანსულ კახიძის ხსოვნის საღამო გაიმართება

7 მარტს თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის დამაარსებლის – ჯანსუღ კახიძის გარდაცვალების დღეა. ამ თარიღთან დაკავშირებით ცენტრში ყოველწლიურად იმართება განსაკუთრებული პროგრამის მქონე კონცერტები.

წელს ჯანსუღ კახიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტზე შესრულდება ანტონინ დვორჟაკის რე-მაჟორული მესა სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისთვის.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის სიმფონიური ორკესტრი ვახტანგ კახიძის დირიჟორობით, საქართველოს სახელმწიფო კაპელა, რომლის მთავარი ქორმაისტერი არჩილ უშვერიძეა.

თბილისის სიმფონიური ორკესტრი და საქართველოს სახელმწიფო კაპელა ვახტანგ კახიძის დირიჟორობით პირველად საქართველოში შეასრულებს ცნობილი ჩეხი კომპოზიტორის ანტონინ დვორჟაკის რე-მაჟორულ მესას სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისთვის. სოლისტების რანგში წარდგებიან ახალგაზრდა ქართველი ვოკალისტები.

ხსოვნის საღამოზე შესრულდება ანტონინ დვორჟაკის კონცერტი ჩელოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის, რომელიც მსოფლიო მუსიკალურ ლიტერატურაში ერთ-ერთ შედევრადაა მიჩნეული. კონცერტს შეასრულებს თბილისის სიმფონიური ორკესტრის ჩელოების სექციის კონცერტმაისერი თორნიკე გეწაძე.

ნინო ანანიაშვილმა „გედების ტბაში“ იცეკვა

54 წლის ქართველმა პრიმა ბალერინამ ნინო ანანიაშვილმა ბერ შევას არტ ცენტრში პეტრე ჩაიკოვსკის ბალეტში „გედების ტბა“ იცეკვა. მომაკვდავი გედის ულამაზესმა შესრულებამ დამსწრე საზოგადოება აღფრთოვანებული დატოვა. ქართველმა პრიმა ბალერინამ ხანგრძლივი ოვაციები და მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურა.

მიუხედავად იმისა, რომ ნინო ანანიაშვილი ბალეტს ჩამოშორდა და სპექტაკლებში აქტიურად აღარ ცეკვავს, განსაკუთრებულ შემთხვევებში ბალერინა სხვადასხვა სპექტაკლებისთვის მაინც იცვამს პუანტეებს, ულამაზეს საბალეტო კოსტიუმებს და მაყურებლისთვის ულამაზეს პერფორმანსებს წარმოადგენს.

სოფო ნიჟარაძე და გიორგი უშიკიშვილი მეგრულად ამღერდნენ

სოფო ნიჟარაძე და გიორგი უშიკიშვილი მარინა ბერიძესთან ერთად მუსიკალური შოუსთვის „მხოლოდ ქართული“ მთელი საქართველოს მასშტაბით ნიჭიერ მომღერლებს ეძებენ.

ჟიურის წევრებთან და შემოქმედებით ჯგუფთან ერთად მოგზაურობენ შოუს წამყვანებიც – ნიკა გრიგოლია და ილო ბეროშვილი.

გორის, თელავის და ქუთაისის შემდეგ, „მხოლოდ ქართული“ ზუგდიდში ჩავიდა, სადაც კონკურსანტებიდან საუკეთესოები შეირჩა.

სამეგრელოში ყოფნამ სოფოს და გიორგის მეგრული სიმღერის შესრულების სურვილი გაუჩინა და მათ დუეტში ერთ-ერთი ცნობილი მეგრული სიმღერა „ვა გიორქო მა“ იმღერეს.

მარიტა როხვაძე გაქურდეს

მომღერალი მარიტა როხვაძე გაქურდეს. როგორც „ჯეოსტარის“ გამარჯვებული აცხადებს, ქუთაისში მისი ბაღიდან ულამაზესი ყვავილები ფესვებიანად მოიპარეს.

მარიტა როხვაძე:

– გაგიხმათ ხელი, ვინც ჩემი ყვავილები ფესვებიანად ამოთხარეთ და წაიღეთ. ერთი ნერგი მაინც დაგეტოვებინა, უნამუსო. გადაყოლილი იყვნენ ჩემი მშობლები, ისე უვლიდნენ. მოგაგნებ მაინც და გულზე დაგადებ მიწიანად!

გიორგი ვარდოსანიძემ ონლაინ მარკეტი შექმნა

მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობმა გიორგი ვარდოსანიძემ ონლაინ მარკეტი შექმნა და მას „პრაიმშოპი“ უწოდა.

გიორგი ვარდოსანიძე:

– ეს ჩემი ახალი წამოწყებაა. ონლაინ მარკეტი პრაიმშოპი, სადაც შეგიძლიათ ბევრი საინტერესო ნივთი შეიძინოთ თქვენთვის ან საჩუქრად. ხარისხი მაღალი, ხოლო ფასები დაბალი. ასევე ნივთს კურიერი მოგართმევთ ნებისმიერ მისამართზე საქართველოში, ოკუპირებული რეგიონების გამოკლებით. მოქმედებს განვადება თქვენი სურვილის მიხედვით. საიტი ყოველდღიურად ახლდება და ემატება პროდუქცია. თუ რაიმე კითხვა გექნებათ, შეგიძლიათ საიტზე არსებულ ჩატში მოგვმართოთ, ან ჩვენი ოპერატორი 24 საათის განმავლობაში გიპასუხებთ, ან მე მომწეროთ და დაგეხმარებით. იმედი მაქვს მოგეწონებათ.

გოგი გვახარია: „რა გნებავთ, ბატონო ჯონდი?“

კინომცოდნე გოგი გვახარია ჯონდი ბაღათურიას მიმართავს და გასული საუკუნის 90-იან წლებს და მასთან ერთად აფხაზეთის საომარი მოქმედებების დაწყების წინა პერიოდს ახსენებს:

– ბევრს არ ახსოვს, რას აკეთებდა ეს ხალხი აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების წინ. წაიკითხეთ მათი წერილები, ინტერვიუები 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში.

ამ პერიოდის „ლიტერატურული საქართველო“ წაიკითხეთ, ნახეთ, როგორ მუშაობდნენ სიძულვილის, დასმენის, ეთნიკური შუღლის გაძლიერებაზე. არ გვჭირდება ლუსტრაციის კანონი. მოვა დრო და ახალგაზრდები მაინც არ დაიზარებენ იმ პერიოდის პრესის ანალიზს, უჩვენებენ ქართულ საზოგადოებას რა სამუშაოს, ვის სამუშაოს ასრულებდნენ ეს ზიზღის კასრები, ახლაც რომ ჰყოფნით თავხედობა, ილაპარაკონ ხალხის სახელით.

„რა გნებავთ, ბატონო ჯონდი?“

ტორესა მოსი: „არ გვაპატიეს მარტივი კოლეგიალური სოლიდარობის გამოხატვა“

– ძალიან სასაცილოა სამთავრობო ტროლების ღაღადი მწერლების კლანებსა და დახურულ ეზოთერულ საზოგადოებებზე. ქვეყანაში, რომელსაც არაოფიციალური მმართველი ჰყავს და ყოველდღიურად ეფლობა კორუფციის, ნეპოტიზმისა და ბოლშევიკური მავნებლობის ჭაობში, არ გვაპატიეს მარტივი კოლეგიალური სოლიდარობის გამოხატვა. კი, აბა რა, მასონთა ლოჟაც გვაქვს და სოროსი გვმართავს კიდე, – აცხადებს მწერალი ტორესა მოსი და სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ იმ სტატუსებს აპროტესტებს, რომლებიც მწერლების კრიტიკას ეძღვნება:

– მეასედ შემხვდა უკვე სტატუსები, რომ თურმე კლანები გვაქვს მწერლებს შექმნილი და ღამ-ღამობით თბილისის თავზე დავფრინავთ და ვწყევლით. ნუ, გარდა იმისა, რომ მიშა და ნაცმოძრაობა გვიწერენ ტექსტებს, და დასპონსორებულია სისულელე სტატია, როგორ არ თარგმნა წიგნის ცენტრმა ქართველი კლასიკოსები და როგორ შეგვტენეს თანამედროვეები. სრული ბოდვა. ჰოდა, რა ვიცი, მგონი ძალიან ჩ...ჯვეს და ასე ბანძად ცდილობენ ჩვენგან თავის დაცვას.

დემნა გვასალიას ახალ კოლექციას პარიზის მოდის კვირეულზე რევოლუციური უწოდეს

პარიზის მოდის კვირეულზე ბალენსიაგამ შემოდგომა/ზამთარი 2018-ის კოლექცია წარადგინა. ბრენდის შემოქმედებითმა ხელმძღვანელმა დემნა გვასალიამ ქალისა და მამაკაცის პირველი გაერთიანებული ჩვენება გამართა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენებას მოდის კრიტიკოსების მხრიდან უმაღლესი შეფასება მოყვა. დემნას კოლექციას რევოლუციური უწოდეს.



ბალენსიაგას ჩვენებაზე მამაკაცის 2 ლუქზე ტელეფონის ნომერი ეწერა. ბევრმა ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ რამდენიმე ჟურნალისტმა ხუმრობით გადარეკა ნომერზე და რობოტმა უპასუხა: „ბალენსიაგას ცხელი ხაზი გისმენთ“. ჟურნალისტები წერენ, რომ ბალენსიაგას რობოტის პირველი კითხვა იყო: „თქვენი სქესი?“ ამ კითხვის შემდეგ კი რობოტი მათ დაახლოებით 6 წუთი ელაპარაკებოდა.

დემნა გვასალიას ახალი კოლექციის ნახვის შემდეგ, უცხოელმა ჟურნალისტებმა დაწერეს, რომ დემნამ ციფრული მკერვალობა გამოიგონა. ვოგის საერთაშორისო კრიტიკოსმა სუზი მენქსმა დაწერა, რომ ბალენსიაგას ჩვენება რევოლუციური და ინოვაციური იყო, რადგან საქმე ციფრულ მკერვალობასთან გვაქვს. როგორც სტატიაშია აღნიშნული, 3დე სკანირება გაუკეთეს ჯერ სხეულებს, შემდეგ ფორმები მოათავსეს ფაილებში, მოარგეს და ამობეჭდეს, ასე მიიღეს თარგი, არანაირი ბევრი ნემსი, კონსტრუქცია.

ამ საკითხს ქართველმა დიზაინერმა ასე უპასუხა: საქმე, რასაც ხედავთ ყველაფერი დაბეჭდილია და მორგებებიც ლეპტოპში პირველად გავაკეთე ჩემითო.

კოლექციის წარდგენის შემდეგ, დამსწრე საზოგადოებას გაუჩნდა შეკითხვა, თუ ვინ იყო ბალენსიაგას პარიზის მოდის კვირეულზე წარდგენილი შემოდგომა-ზამთრის 2018 წლის კოლექციის სტილისტი. ჩვენების შემდეგ ლოტა ვოლკოვამ დაწერა, რომ ის იყო ამ კოლექციის სტილისტი, თუმცა, როგორ გაირკვა, ის ლოტა ვოლკოვა ქასტინგის მენეჯერი იყო და არა სტილისტი.

უკვე 2 სეზონია ლოტა ვოლკოვა დემნა გვასალიას ბრენდის ვეტმენსის სტილისტი აღარ არის. ეს თანამდებობა დემნას პარტნიორმა ლოიკმა შეითავსა. ახლა, როცა უკვე ბალენსიაგას სტილისტებშიც აღარ იხსენიებენ ლოტა ვოლკოვას როგორც კოლექციის სტილისტს, ჟურნალისტებს გაუჩნდათ ლოგიკური კითხვა, – დემნა გვასალია ბალენსიაგაშიც ლოიკისთვის ხომ არ გეგმავს სტილისტის კრედიტის მიცემას?!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 მარტისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.4585
- ევრო — 3.0274
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3976
- 100 რუსული რუბლი — 4.3112

ამინდის პროგნოზი 7 მარტისთვის

27 თებერვლიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი ტომი 14

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

6 მარტიდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

8 მარტიდან

60 ამბავი უცხოეთში დაკარგული ქართველები



ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



13 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

15 მარტიდან

100 ამბავი მსოფლიო მონარქები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ᲘᲣᲛᲝᲠᲘ

ორი პოლიტიკოსი საუბრობს. მმართველი პარტიის წარმომადგენელი ოპოზიციის წარმომადგენელს ეუბნება:

– ხუთი წლის შემდეგ ჩვენ გერმანიაზე უკეთ ვიცხოვრებთ!

– კი მაგრამ, ამ გერმანიას რაღას ერჩით?

•••

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, პრობლემა მაქვს. არ მიდგება.

– ამის გამოსწორება შეიძლება. ორი ვარიანტი არსებობს. ერთი: ოპერაცია და ყველაფერი მაშინვე მოგვარდება, მხოლოდ 30 ათასი დოლარი ღირს, და მეორე, ოპერაციების სერია ერთი თვის განმავლობაში და 10 ათასი დოლარი გექნება გადასახდელი.

– იცით რა, ოჯახს უნდა მოვეთათბირო, სანამ გადაწყვეტილებას მივიღებ.

– კარგით, ხვალ მობრძანდით.

მეორე დღეს. ექიმი ეკითხება.

– აბა, რა გადაწყვეტილება მიიღეთ?

– სამზარეულოს გავარემონტებთ.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რითი ჰგვანან ერთმანეთს ვინდოუსი და პრეზერვატივი?

– არავის მოსწონს, მაგრამ მაინც სარგებლობენ.

•••

ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს ეკითხება:

– ქარიშხლებს ქალების სახელებს რატომ არქმევენ?

– იმიტომ, რომ თავდაპირველად ამოუცნობები არიან, შემდეგ კი სახლები და მანქანები მიაქვთ.

•••

რუსს ეკითხებიან:

– მთვრალი ვინ არის?

– არყით გამომთვრალი ღორი.

– და თუ კონიაკით?

– მაშინ უზრუნველყოფილი ღორი!

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– ქმარმა მითხრა, თუ წონაში ას კილოგრამს მიაღწევ, გაგეყრებიო.

– მერე, ახლა რამდენი ხარ წონაში?

– განქორწინებას 100 გრამი მიკლია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



1 მარტიდან

კანდიდ ჩარკვიანი სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

კანტეს მანჩესტერ სიტისთან მატჩის წინ გული წაუვიდა

ჩელსის ფრანგმა ნახევარმცველმა ნგოლო კანტემ მანჩესტერ სიტის წინააღმდეგ შეხვედრა გამოტოვა და ამის მიზეზი მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი – კანტეს მატჩის დღეს ვარჯიშზე გული წაუვიდა, რის შემდეგაც ის სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში.

კანტე უკვე გამოწერეს საავადმყოფოდან და ვარჯიშს მალე ისევ განაახლებს.

ნგოლო კანტე ჩელსის ერთ-ერთი მთავარი ფეხბურთელია და მისი არყოფნა გუნდისთვის უდიდესი დანაკლისი იქნება.

თვითონ ფეხბურთელს ამ ინციდენტთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

დავიდ ლუისი ტრავმის გამო ერთ თვეს გამოტოვებს

ჩელსის მცველი დავიდ ლუისი ტრავმის გამო დაახლოებით ერთი თვე ვერ შეძლებს თამაშს. ამის შესახებ ინგლისურ პრესაში დაიწერა.

ლუისი აქამდეც ტრავმირებული იყო, მაგრამ ტრავმა გაურთულდა, რის გამოც უფრო გვიან დაუბრუნდება მოედანს, ვიდრე ამას ელოდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ წლევანდელ სეზონში დავიდ ლუისმა ჩელსის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა.

იკერ კასილიასის მომავალი გაურკვეველია

პორტოს ესპანელი მეკარე იკერ კასილიასი გუნდს, სავარაუდოდ, სეზონის ბოლოს დატოვებს, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას. იკერს ინგლისური გუნდებიც ეპატიჟებიან, მაგრამ ალბათ კასილიასი ესპანეთში დაბრუნდება, სადაც მის მიმართ არაერთი გუნდი იჩენს ინტერესს.

ყველაზე რეალური ვარიანტი ბეტისია, რომელიც იკერს საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას სთავაზობს. კასილიასმა ესპანეთი 2015 წელს დატოვა, როდესაც მადრიდის რეალმა მასთან კონტრაქტი გაწყვიტა.

კასილიასი რეალის ღირსებას 16 წლის განმავლობაში იცავდა.

ჟოზე მოურინიო: „კრისტალ პალასის დამარცხება ძალიან მნიშვნელოვანი იყო“

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ კრისტალ პალასის დამარცხება მისი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან სწორედ ასეთ შეხვედრებში ჩანს გუნდის ხასიათი და ბრძოლისუნარიანობა. მანჩესტერ იუნაიტედი 0:2 აგებდა და 3:2 მოიგო, რის შემდეგაც მანჩესტერელებმა სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე გადაინაცვლეს.

მოურინიოს თქმით, მისმა გუნდმა მხოლოდ წინ უნდა იყუროს და კრისტალ პალასთან შეხვედრა მალე დაივიწყოს.

მომავალ ტურში მანჩესტერ იუნაიტედი საკუთარ მოედანზე ლივერპულს მიიღებს.

ᲯᲭᲝᲡᲕᲝᲭᲘᲥᲘᲗ Ა



შვეულად: 1. დიპლომატიური წარმომადგენელი; 2. ძვირფასი სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მინერალი; 3. თვალის დაავადება, სიელმე; 4. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 5. მეტისმეტად გულგრილი, აუღელვებელი ადამიანი; 9. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 14. ჩეხური ლუდი; 15. მუზეუმი ბერლინში; 16. ნიადაგის გასანოყიერებელი ნივთიერება; 19. ფრანგული ბულდოგი; 20. აჭარული ცეკვა; 21. ბოშათა წინამძღოლი.

თარაზულად: 6. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე; 7. თავადაზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 8. პოპულარული სამთო-სათხილამურო კურორტი აშშ-ში; 11. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 12. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 13. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 17. პოლონელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. ფედერიკო ფელინის მხატვრული ფილმი; 22. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 23. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი; 24. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 25. მონასტერი ქარელის რაიონში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

არსენ ვენგერი არსენალიდან წასვლას არ აპირებს

არსენალის მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი არსენალიდან წასვლას არ აპირებს. ვენგერს კონტრაქტი 2019 წლის ზაფხულში ეწურება და ამ ვადამდე აპირებს მუშაობის გაგრძელებას.

მიუხედავად ამისა, ვენგერი შესაძლოა მაინც გაათავისუფლონ, რადგან არსენალი ბოლო პერიოდში ძალიან ცუდ შედეგებს აჩვენებს და გუნდი აშკარა კრიზისშია. არსენალმა ზედიზედ სამი შეხვედრა წააგო და ვენგერის გუნდს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი თითქმის აღარ აქვს.

ხუთშაბათს არსენალს ევროპის ლიგაში მნიშვნელოვანი შეხვედრა ელოდება მილანის წინააღმდეგ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა